ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკევობით

№ 11 (67)

20 მარტი, პარასკევი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანდალიზმი ახალი მეთოდებით

ჩვენი საზოგადოების ერთი, ბნელი ნაწილი, როგორც ჩანს, ცდილობს ალადგინოს ძველებური წესი სისხლის ალებისა ახლებური მეთოდით.

ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა ზოგიერთი გაბოროტებული ადამიანის აქციებს პასუხობენ შესაბამისად...

პრეზიდენტყოფილის მოწინააღმდეგის სახლი დაიწვა? მაშასადამე უნდა გადაიჩეხოს და აწიოკდეს პრეზიდენტყოფილის მომხრის საცხოვრისიც. შესაძლოა ვანდალური ფაქტები ასეთი მარტივი გაცვლა-გამოცვლის წესით არ ხდებოდეს და უფრო რთულად იყოს ყველაფერი, მაგრამ ფაქტი ერთია, ვანდალიზმით საბოლოოდ ზიანდება არა მარტო დაზარალებულთა ოჯახები, არამედ მთელი საქართველო, რადგან სიცოცხლე კაცისა. მისი ეზო და კარი, მხოლოდ მას კი არა, მთელ საქართველოს ეკუთვნის და მისი ხელყოფით ისევ ჩვენი სამშობლო ზარალდება.

მით უფრო, ეს ითქმის კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმზე, რომელიც მხოლოდ პრეზიდენტყოფილს კი არა, მთელს საქართველოს ეკუთვნოდა და ის, ვინც ეს სახლ-მუზეუმი დაწვა მთელს ერს გაუბოროტდა...

ასე, მეგობრებო, ვარბიოთ და გადავბუგოთ გამოჩენილ ადამიანთა სახლები. ეს საქართველოს საქმეს ერთობ წაადგება...

ისე ნუ გავწირავთ ერთურთს, რომ მტერსაც კი ვეცოდებოდეთ...

ნომერში:

ბაჩონ გიორგი ჭანგურიას ერთი საგელევიზიო გამოსვლის გამო
მე-2 გვ.

„საშოგლო-ში ცხოვრებას არაფერი სჯობია“,
— ამბობს უცხოეთში გადახვეწილი ქართველი დისიდენტი, რომელიც ყმაწვილკაცობიდან იბრძოდა საქართველოს თავისუფლებისათვის, მაგრამ...
მე-3 გვ.

ასე ჩემო მანასელო, ხან ისე და ხან ასე!..
ამ რუბრიკით გაეცნობით მასალას, რომლის რეზიუმედ ერთი კომიკური ამბავი გამოდებოდა.
ბატონ ედუარდ შევარდნაძის საგარეო საქმეთა მინისტრად გადაყვანის შემდეგ ცეკას პირველ მდივნად ბატონი ჯუმბერ ბატიაშვილი დანიშნა. იმ ნაგად ქორი დადიოდა, რომ თითქოს გურიიდან კოლმეურეობის ერთმა თავმჯდომარემ ჯუმბერ ბატიაშვილს ასეთი დებეში გამოუგზავნა —
შევარდნაძის წასვლით გამოწვეული უბედურება თქვენმა მოსვლამ გადამატანინო...
დანარჩენი იხ.
მე-4 — მე-5 გვ.

ვასილ მაღლაფერიძე:
„შენა გწადს ან როველითა“...
მე-7 გვ.

შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ოთხშაბათს, 18 მარტს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხვედრა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან. შეხვედრას უძღვებოდა თსუ რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. სიტყვით გამოვიდნენ: პროფესორი ოთარ ჯაფარიძე, პროფესორი მზექალა შანიძე, სახელმწიფო საბჭოს წევრი, თსუ სტუდენტი გიორგი მაისურაძე, უნივერსიტეტის თანამშრომელი ფიქრია ჩიხრაძე და სხვანი.

შეხვედრაზე დიდი ყურადღება დაეთმო დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდში არსებულ დაძაბულ ვითარებას. დარბაზში მყოფნი სამართლიანად მოითხოვდნენ ძმათა შორის დაპირისპირებისა და სისხლისღვრის დროულად შეწყვეტას. გამოითქვა აზრი, რომ ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი. მოსალაპარაკებლად უკვე გაიგზავნენ წარმომადგენლები და დაისახა კონფლიქტის გადაჭრის კონკრეტული გზები. რაც შეეხება მდგომარეობას სამაჩაბლოში, მის მოსაწესრიგებლად ასეთივე გამოსავალი მოიძებნა. ბატონმა ედუარდმა აღნიშნა, რომ სამაჩაბლოდან ჯარების გაყვანა მხოლოდ დამხოლოდ მაგიდასთან დაჯდომით, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით არის შესაძლებელი. რაც შეეხება იმ ხმებს, რომელიც გავრცელდა საქართველოში, თითქოს სამაჩაბლოში რუსეთის შინაგანი ჯარების ახალახალი ნაწილები შეჰყავთ, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება.

შემდეგ ისაუბრეს საქართველოში ეროვნულ მოძრაობაზე, მის მიერ განვლილ გზასა და მის პრობლემებზე. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მოხდა ძველი სტრუქტურების ნგრევა, იმპერიული მანქანის მოშლა. ახლა კი დრო დადგა, დესტრუქციული მიმართულება კონსტრუქციულმა მიმართულებამ შეცვალოს. წინა ხელისუფლებისაგან კი ამ მხრივ ძალიან ცუდი მემკვიდრეობა მივიღეთ, განსაკუთრებით — ეკონომიკის სფეროში.

ე.შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი რესპუბლიკა კი არაა, არამედ „საქართველოსათვის უფრო ადრე დადგა დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ხელსაყრელი მომენტი, ვიდრე სხვა ქვეყნებისათვის.“ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ბოლო დროის ისტორიაში ახალ „თაობას“ — საქმიან ხალხს, ბიზნესმენებს. ფართოდ უნდა განვითარდეს მეწარმეობა, გასაქანი მიეცეს კერძო ინიციატივას.

ითქვა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ამზადებს დებულებას არჩევნების შესახებ, რომელიც მთელი საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი გახდება. არჩევნების ჩატარება დაგეგმილია არა უადრეს ივნისის თვისა, ~~მაგრამ~~ არა უგვიანეს სექტემბერ-ოქტომბრისა. არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა რესპუბლიკაში პოლიტიკური სტაბილურობა. ე.შევარდნაძის თქმით „კოლექტიური სტაბილურობა არჩევნების ჩატარების აუცილებელი პირობაა, მაგრამ, თუ ისეთი მდგომარეობა იქნება, რაც იყო, შეიძლება ლაპარაკი არჩევნებზე? — არა!“

არჩევნების შემდეგ კი, როდესაც კაცობრიობა დაინახავს, რომ საქართველო დემოკრატიის შენების გზაზე დგას, შეიცვლება მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობა აქამდე ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ამიერიდან კი იგი ფართო დიპლომატიურ ურთიერთობას გაშლის სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებთან, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებთან, აღმოსავლეთის ქვეყნებთან. თბილისში გაიხსნება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საელჩო. კარგი იქნებოდა, თუ თბილისის ერთ-ერთი უბანი დაეთმობოდა საელჩოების აშენებას, როგორც ეს სხვა ქალაქებში ხდება (ამ საკითხის მოსამზადებლად შესაბამისი მითითება მიეცა ქალაქის მერს ბ-ნ ო.ლითანიშვილს).

სტუმარმა ილაპარაკა საქართველოს შეიარაღებული ძალების პრობლემებზეც. მისი აზრით, დღესდღეობით ქართული ჯარი შედგება, პრაქტიკულად, მოხალისეებისაგან, რომელთაც პატრიოტული გრძნობა ამოძრავებთ, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალური არმია სულ სხვაა. გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს 100-200 ათასიანი არმია დასჭირდება, მაგრამ ამას ვერანაირი ეკონომიკა ვერ გაუძლებს. ამიტომ არმია უნდა იყოს მცირერიცხოვანი, მაგრამ ბრძოლისუნარიანი (დაახლოებით 10-15 ათასი კაცი).

შეხვედრის მონაწილეებმა ბ-ნ ე.შევარდნაძეს ბევრი კითხვა დაუსვეს, ბევრი საკითხი გაარჩიეს, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჭირბოროტო პრობლემები.

ლევან ნათაძე



ეს კარიკატურები, ალბათ, ვერავის გააღიმებს. არც ვბეჭდავთ ამ მიზნით. სასაცილო კი არა, სატირალია, დასავლეთიდან მიღებული მედიკამენტები თუ სხვა ტვირთი გაჭირვებულთა კი არ ექორვაჭართა ხელში რომ ხვდება, ანდა, სულაც უკვალოდ „იკარგება“. ამან კი ისეთი მასშტაბები მიიღო, ჰუმანიტარულ დახმარებას უკვე მეთვალყურე-განმანაწილებელსაც აყოლებენ დასავლეთიდან.

საწუხარ არს ესე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა ჩიტივითაა...

(ბატონ ბიორგი ჭანტურიას ერთი გამოსვლის გამო)

საქართველოში ოდითგანვე იცოდნენ სიტყვის ფასი, ყადრი. იცოდნენ, რომ სიტყვა ჩიტივითაა, გაფრინდება ვეღარ დაიჭერ. გინდაც „დაიჭირო", მანამდე, ვინ იცის, რამდენ გულს დაკოდავს ცუდად გაფრენილი (გასროლილი) სიტყვა, რამდენ გონებას არევს, რამდენ საქმეს წაახდენს...

თუ რამდენი საქმე წაახდინა საქართველოში, თუ რაოდენ წაახდინა საქართველოს საქმე ცუდად გაფრენილმა სიტყვამ გასულ წელს, კარგადაა ცნობილი.

როდესაც ამ თვალსაზრისითაა საუბარი, პირველ ყოვლისა, ალბათ, ის უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ ცდილობდნენ აღნიშნული „სიტყვამჭევრობით" **სოფელი ქალაქისთვის დაპირისპირებინათ. კუთხე-კუთხისთვის...**

დღეს, ყოველმხრივ მძიმე სიტუაციაში, ყველას, განსაკუთრებით კი **საზოგადოებრივ ასპარეზზე მყოფ, პოლიტიკაში „მოღვაწე" პიროვნებებს.** დიდი ყურადღება, სიფრთხილე მართებთ, რათა თავიანთი მოუზომავი, უადგილო, „გაფრენილი სიტყვებით" კიდევ უფრო არ დაამძიმონ მდგომარეობა, მით უფრო, ისეთ სათუთ სფეროსთან მიმართებაში, როგორიცაა, ასე ვთქვათ, **„კუთხეთაშორისი ურთიერთობა".**

14 მარტს საქართველოს ტელევიზიამ აჩვენა ქ.ზუგდიდში დაღუპულ გვარდიელთა განაწამები ცხედრები. მეორე დღეს იმავე ტელევიზიით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი ჭანტურია,** რომელმაც ისაუბრა ზუგდიდში (და არა მარტო ზუგდიდში) არსებულ ვითარებაზე. შეეხო რა გვარდიელთა დაღუპვის ფაქტს, აღნიშნულ ვიდეოკადრებს, ბ-მა გ.ჭანტურიამ ბრძანა, რომ „ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავვარდეთ". და ამგვარი „გადავარდნის" მაგალითად მოიყვანა ის, რომ თურმე „გაისმის ხმები, მოთხოვნები სამეგრელოზე გალაშქრების, მეგრელთა დასჯის შესახებ". შემდეგ, სავსებით სწორად და სამართლიანად, ქვაქვაზე არ დასტოვა ასეთი „მოთხოვნებისაგან".

სიტყვა „მოთხოვნები" შემთხვევით არ ჩავსვი წინწკლებში. დიახ, საკითხავია, რამდენად მიზანშეწონილია აღნიშნული „ხმების", ესოდენ უაპელაციოდ განხოგადება, ტელევიზიით „გამოჭენება", ცეცხლზე ნავთის მიმატება?! და საერთოდ, საინტერესოა, სად, რომელ **გაზეთში გამოქვეყნდა, რომელ მიტინგზე გაისმა, რომელი რადიო-ტელევიზიით** მოვისმინეთ ეს „უკიდურესი ხმები"?!

ამავე გამოსვლაში, ბ-მა გ.ჭანტურიამ, მიუთითა რა, რომ ზუგდიდში არსებული კონფლიქტური სიტუაცია მშვიდობიანი შოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს, ამასთან ერთად, კატეგორიულად მოითხოვა, **ვალტერ შურღაიასთან, ლოთი ჭობალიასთან** და სხვებთან არავითარი მოლაპარაკება არ უნდა გაიმართოს, ისინი მხოლოდ სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენო.

უცნაურია, ზუგდიდში სიტუაციას სწორედ ეს, დასტურდებოდეს. ... რები წარმართავენ, ისინი მეთაურობენ დაუმორჩილებლობის კომიტეტს, შეიარაღებულ რაზმებს და მაშ, ვისთან, თუ არა მათთან, უნდა გაიმართოს მშვიდობიანი მოლაპარაკება?! გარდა ამისა, სასამართლოს წინაშე რომ წარაყენო, ჯერ ხომ უნდა დაიჭირო?! ეს კი უსისხლოდ, ახალი მსხვერპლის გარეშე რომ არ მოხერხდება, ეფიქრა, საეჭვო არ უნდა იყოს; არადა, ჯერ კიდევ ძველ ლათინებს უთქვამთ, „ცუდი მშვიდობა გერჩიოს კარგ ომსო!" (მისასალმებელია, რომ სახელმწიფო საბჭო სწორედ ასე მოიქცა-და არა ისე, როგორც ბ-მა გ.ჭანტურიამ დააყენა საკითხი და მისმა დელეგაციამ აღნიშნულ პირებთან და სხვებთან გამართა მოლაპარაკება, რასაც იმედისმომცემი დოკუმენტის მიღებაც მოჰყვა და სიტუაციის განმუხტვის გზებიც დაისახა).

ეს, რაც შეეხება ბატონ გ.ჭანტურიას ერთ კონკრეტულ გამოსვლას. სხვა მხრივ კი, რასაკვირველია, ძველებურად მისი პიროვნებისა და საქმიანობის ეტიკეტისმცემელი ვრჩები.

ფელიქს კოტიაშვილი

პური მეპურემ უნდა აცხოს

„მრგვალი მაგიდის" გამარჯვება-დამარცხების შემდეგ ერთი უცნაური მსჯელობა შეინიშნება: ის ფაქტი, რომ მავანი და მავანი ეროვნულ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, ექსპრეზიდენტის მომხრეთაგან იმის გამართლებად ისმის, რომ არაკომპეტენტური პიროვნება წარსული დამსახურების გამო შეიძლება გარკვეულ თანამდებობაზე დაინიშნოს. ასეთი შეხედულების ავტორებს მინდა შევახსენო შემდეგი:

ყოველი ადამიანი რაიმე ფორმით ემსახურება თავის ერს, ეს მისი მაშულიშვილური ვალია. ამ მისიას იმის მიხედვით ასრულებს, თუ რისი უნარი დააკისრა არსთა განმრიგემ: ზოგი პურს აცხობს, ზოგი წიგნს წერს, ზოგს ხელში ხმალი უჭირავს. ყველა ერთნაირად არის საჭირო და ყოველი კაცი თავის ადგილას უნდა იდგეს. მამულის სამსახურს ხმაური არ უხდება, ჩუმად უნდა იხდიდეს კაცი თავის კაცურ ვალს. თუ პიროვნებამ თავისი დამსახურების გამო მაღალი სკამი მოითხოვა, სადღაა უანგარობა? მეორეც: ადამიანი, ვთქვათ, მშვენივრად ერთმევა თავს ერის გამოღვიძების საქმეს მიტინგებზე მონაწილეობითა თუ სხვადასხვა სასარგებლო საქმიანობით, მაგრამ სრულიად არაკომპეტენტურია, სიტყვაზე, მედიცინის საკითხებში. წარსული დამსახურების გამო რომ ისეთ დარგს ჩაუდგეს სათავეში, რომლის მართვისათვის მას არც შესაფერისი ცოდნა აქვს და არც გამოცდილება, საქმეს, უდავოდ, გააფუჭებს და ძალაუნებურად ცუდ სამსახურს გაუწევს იმ ერს, რომლის გამოღვიძებისათვის თავადვე უბრძოლია. ჩვენი ყოფილი უზენაესი საბჭოს ისტორია ამისი დასტური გახლავთ.

პური მეპურემ უნდა აცხოს!

ლილი ბასილაია

გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

წესით ეს განცხადება გაზეთ „აჭარაში" უნდა დაგვებეჭდა. „კრებისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის თანახმად „აჭარა" ვალდებული იყო ეს გავეკეთებინა, მაგრამ მან უგულებელყო კანონის მოთხოვნა და საარჩევნო ბლოკ „აჭარის" პრეს-ცენტრის საპასუხო განცხადება, ამიტომ გთხოვთ გამოგვქვეყნოთ თქვენს გაზეთში.

*

1992 წლის 6 მარტს აჭარის ტელევიზიით გადაიცა, ხოლო 7 მარტს გაზეთ „აჭარაში" დაიბეჭდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეს-ცენტრის განცხადება, რომელიც ძირითადად მოსახლეობაში დიდი რაოდენობით იარაღის დარიგების ფაქტს ეხება. ჩვენ ამ განცხადების იმ მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც საარჩევნო ბლოკ „აჭარის" პოზიციას ეხება უშუალოდ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „თითქოს იარაღი ურიგდებოდეს აჭარის მთელ მოსახლეობას" და ეს ფრაზა მიეწერება საარჩევნო ბლოკ „აჭარას". სინამდვილეში ცეცხლსასროლი იარაღის დარიგებაზე მიღწეულ დეპუტატთა საკონსულტაციო შეხვედრას 21 თებერვალს ესწრებოდნენ სხვა ბლოკებიდან არჩეული დეპუტატები და ეს ფაქტი იქ არავის უარყვია, არც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს და არც რომელიმე დეპუტატს. აჭარის მთელ მოსახლეობასაც ვერ დაურიგებდნენ იარაღს, რადგან ამ რაოდენობის იარაღი ფიზიკურად არ გააჩნია მის დამრიგებელს.

განცხადების ავტორები გვარწმუნებენ, რომ „იარაღი დაურიგდებათ სახალხო რაზმელებს ანუ იმ პირებს, რომელთაც აქვთ სათანადო სამხედრო გამოცდილება და მიღებული აქვთ შესაბამისი მომზადება და გამოყენება შინაგან საქმეთა ორგანოების დამხმარე ჯგუფებიდ", აქ რბილად რომ ვთქვათ ორი დიდი უზუსტობაა: პირველი, რომ „იარაღი დაურიგდებათ" კი არა, ეკვე დარიგებულია, ამის მტკიცებები ხელთა გვაქვს. თვით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატებთან შეხვედრისას 23 თებერვალს განაცხადა, რომ იარაღი დარიგდა მისი განკარგულებით. ჩვენ ეჭვი გვეპარება და სამართლიანადაც (რადგან ამის დოკუმენტური მტკიცებები გაგვაჩნია), რომ იარაღი სახალხო რაზმელებს კი არ დაურიგდათ, არამედ უკანონო, სახელდახელოდ შეკოწწეულ ჯგუფებს, იარაღი გაიცა კანონის გაუგონარი დარღვევით, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილების გარეშე. მათი გვერდის ავლით, მხოლოდ ერთი კაცის პირადი მითითებით. ამ დროს კი მილიცია, უშიშროების სამსახური, არასაუწყებო დაცვა ფრაქციულად შეიარაღებული. მეორე უზუსტობა კი ის ... ასპექტით, კერძოდ, რომ აჭ... შ არ არის გვარდიის შემოსვ... აკლებლობა. ეს ბრალდება შეიცავს პირდაპირ ცილისწამებას ჩვენს მიმართ, რაზედაც უზენაესი საბჭოს პრეს-ცენტრს შეიძლება მოეთხოვოს პასუხი სასამართლო წესით.

ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ რეგიონში დესტაბილიზაციის არავითარი საშიშროება არ არსებობს. ბათუმში მოწყობილი პოლიტიკური ხასიათის რამდენიმე აფეთქება, მოსახლეობაში დიდი რაოდენობით დარიგებული ავტომატების ღამეული კაკანი შეიძლება ტრაგიკულ რეალობად გვექცეს თუ მოელენები ასეთი რიგით წარმართება. თავს ნებას მოვიტყუებთ ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას ხატოვანად შეიარაღებული მშვიდობა უნდა ეწოდოს. ამიტომ ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ აჭარის ხელისუფლება და მთავრობა აკონტრო-

ზია, გრძელდება უსისტემოდ მოსახლეობაში იარაღის უკანონო დარიგება. ყოველივე ეს მიგვითითებს აჭარაში არსებულ უღრმეს პოლიტიკურ კრიზისზე, რასაც ასე გააფთრებით უარყოფს უზენაესი საბჭოს პრეს-ცენტრი.

ბოლოს, განცხადებაში ლაპარაკია ინფორმაციის მიმწოდებლებზე, რომ „სახურველია იგი მოწოდებული იყოს არა შემთხვევითი, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთი განაწყენებული, არამედ კომპეტენტური პირების მიერ". აქ შევნიშნავთ, აქამდე არ ვიცოდით, რომ საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები შემთხვევითი პირები იყვნენ. საარჩევნო ბლოკ „აჭარაში" გაერთიანებული თერთმეტივე დეპუტატი მოქმედებს არა პირადი ინტერესებიდან. რამდენ სრულიად სა-

საარჩევნო ბლოკ „აჭარის" პრეს-ცენტრის

განცხადება

ქართველოსა და ჩვენი კუთხის ინტერესებიდან გამომდინარე, რაც შეეხება კომპეტენტურობას: ერთი დეპუტატი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატია, ერთი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ორს დამთავრებული აქვს ასპირანტურა ისტორიული და იურიდიული განხრით. მთლიანობაში კი ჩვენი ბლოკის მხარდამჭერები ცნობილი ჰრიან თავიანთი მაღალი ინტელექტუალური პოტენციით, არა მარტო აჭარაში, არამედ სრულიად საქართველოში. ეს ტრაბახი არ გახლავთ, ეს ფაქტის კონსტატაციაა.

სრული სიმშვიდე და სამოქალაქო თანხმობა, რასაც ხშირად უსვამენ ხაზს „პრეს-ცენტრელები" ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივი დარიგებით კი არ მიიღწევა, არამედ დემოკრატიული მმართველობის დანერგვისა და კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში მოქმედებით, რასაც ჩვენ ახე დიდიხანია დაჟინებით ვითხოვთ.

საარჩევნო ბლოკ „აჭარის" პრეს-ცენტრი.

ბათუმი. 1992 წელი, მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია ლაშქარაშვილი:

საშოგლოში ცხოვრებას არაფერი სჯობია

„ზაქარია ლაშქარაშვილს კარგად ვიცნობდი. ის [illegible]ს გამბედავი, უაღრესად პატიოსანი, მეგობრებში [illegible]თგული ადამიანი. ამას მალაპარაკებს როგორც საკუთარი ინტუიცია, ასევე ჩემთვის ნაცნობი წრე მისი პატიმრობის მეგობრობისა. საბჭოთა პოლიტსაკონცენტრაციო ბანაკებში პატიმრობაუმწიკვლოგამოვლილის რეპუტაცია არც ერთ სხვა, აშკარად უფრო იოლ სიტუაციაში შემოწმებას აღარ საჭიროებს“.

მერაბ კოსტავა.



ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილი დაიბადა 1954 წელს, ჯასპის რაიონის სოფელ დოესში.

ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ასაკში, დააარსა საქართველოს ეროვნული პარტია, რომელსაც 1980 წლიდან „საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია „(სეგო)“ ეწოდა.

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ 1983 წელს ზაქარია ლაშქარაშვილი დაპატიმრებული იქნა პოლიტიკური საქმიანობისათვის.

ბატონმა ზაქარიამ ციხეებსა და პოლიტბანაკებში 1987 წლამდე დაჰყო. შოსკოვში საფრანგეთის საელჩოს დახმარებით იგი ღებულობს ემიგრაციაში წასვლის ნებართვას და 1988 წლის 20 ივლისს ტოვებს საშობლოს.

ამჟამად ცხოვრობს პარიზში. კონტრაქტის საფუძველზე მუშაობს რადიოსადგურ „თავისუფლებაში“.

მასთან საუბრის სურვილი ზემოთ ჩამოთვლილი ქრონოლოგიის გარდა, „ევრიაში“ დაბეჭდილმა, პოლიტიკურ წრეებში ერთ დროს საკმაოდ გავრცელებულმა ამბავმა განაირობა. ყველას გახსოვთ ალბათ, ამ ორიოდე წლის წინ გამართული ღირსების სასამართლო. რომელიც ტელევიზიით გადაიცა. ამ სასამართლოზე ზ.ლაშქარაშვილის გვარი და სახელი ფიგურირებდა...

— წარმოშობით მანგლისელი ვარ. თბილისში გავიზარდე. საიდან ამეკვიატა ფიქრი თავისუფლების შესახებ, ვერ გეტყვით. მე და ჩემმა მეგობრებმა 1972 წელს ჩამოვაყალიბეთ საქართველოს ეროვნული პარტია. წესდების მოთხოვნის თანახმად კომკავშირელებსა და კომუნისტებს პარტიაში არ ვიღებდით. 1980 წელს მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეროვნული მოძრაობა არაპარტიული ნიშნით უნდა წარმართულიყო: ჩვენ ეროვნული საკითხი გვაინტერესებდა და არა პარტიული, ამიტომ გადავწყვიტეთ პარტიის გადაკეთება ზეპარტიულ ორგანიზაციად. ასე შეიქმნა „საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია „(სეგო)“, რომლის წევრიც შეიძლება ყოფილიყო კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო. იმ დროს სხვა პარტიები არ ფუნქციონირებდნენ.

1983 წელს „გეორგიევსკის ტრაქტატისადმი“ მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი უნდა გამართულიყო. ამ ღონისძიების ჩაშლის მიზნით პოლიტიკური აქციისათვის ვემზადებოდით. მე და ტარიელ ღვინიაშვილი დაგვაპატიმრეს. სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს დააკავეს გურამ გოგბაიძე. ხშირად მეკითხებიან: „არ დაიბოღმე, რომ დაგაპატიმრესო?“ არ დავბოღმილვარ. მოვხვდი ციხეში, რომელსაც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი მეთვალყურეობდა. ჩემთან ერთად ბევრი გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იჯდა. მათგან მიღებული ცოდნა ხუთი უნივერსიტეტის დამთავრების ტოლფასია. ასე რომ, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის მაგიერ ციხის აკადემია დავამთავრე, რის გამოც ძალიან კმაყოფილი ვარ. „პერესტროიკა“ ჩვენც შეგვეხო. 1987 წლის 3 ივნისს გავთავისუფლდი და ემიგრაციაში წასვლა გადავწყვიტე.

საფრანგეთში გამგზავრებამდე მეგონა, პარიზში ქართველთა საცხოვრებელი კვარტალი დამხვდებოდა. ახლად ჩასულმა სოფელ ლევილის დათვალიერება გადავწყვიტე. გზა მიხეილ ქავთარაძემ მიმასწავლა. „გამარჯობათ, ბატონო “— ვესალმები შემხვედრ უცნობს. „ბონჟურ“ —მპასუხობს ფრანგულად. მივესალმე მეორეს, მესამეს, მეოთხეს... ქართულად არავინ მომსალმებია. მთელი დასახლება შემოვიარე და ქართველთა საფლავების მეტი მშობლიური ვერაფერი ვიპოვე. დაბრუნებულს მიხეილ ქავთარაძემ მკითხა: „ნახე ქართველებიო?“ ჩემს პასუხზე გემრიელად გაიცინა და მომიგო: „თქვენ სულელი ხომ არ ხართ? რა ქართულ სოფელზე მელაპარაკებიო?“

შვიდასამდე ქართველი ცხოვრობს დღეს საფრანგეთში. ოციან წლებში საქართველოდან წასული ემიგრანტების უმრავლესობა გარდაიცვალა. მათი შვილები და შვილიშვილები ფრანგული კულტურითა და ტრადიციებით აღზრდილნი არიან.

საფრანგეთში ჩასულს პირველი დახმარება იქაურმა ქართველებმა აღმომიჩინეს. გიორგი წერეთლის ინიციატივით ჩამოყალიბებული დახმარების ფონდიდან გარკვეული რაოდენობის თანხა გადმომეცა.

ემიგრაციაში ქართველობა, სამწუხაროდ, დღესაც დაჭუჭყეტულია პარტიების მიხედვით. სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც საქართველოდან გატანილი ქონების უზურპაცია მოახდინეს, დაპირისპირებულნი არიან ეროვნულ-დემოკრატებთან. ქართველებს შორის კინკლაობასთან დაკავშირებით მიხეილ ქავთარაძის სიტყვები მინდა გავიხსენო: „რაც ცუდი გვქონდა ყველაფერი შევინარჩუნეთ, კარგი კი გზაში დავკარგეთო“.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საფრანგეთში არსებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ბრძანდებით. საქმიანი ურთიერთობა თუ გაქვთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატებთან?

— სახელის მეტი მათთან საერთო არაფერი გაგვაჩნია.

— საქართველოში „სუკ-ის აგენტთა“ სიის შევსება თქვენით დაიწყო. „ემიგრაციის დასშლელად“ საფრანგეთში გამგზავრებულ ზაქარია ლაშქარაშვილს ბარიერად ხომ არ ექცა „სუკ-ში თანამშრომლობა“?

— ეს ის დრო იყო, როდესაც გამსახურდიას პროპაგანდის მიზნით მისივე საწინააღმდეგო წერილი დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“. მომხდარი ფაქტის რეკლამირების მიზნით ზვიადმა სასამართლოში საჩივარი შეიტანა. ყოფილი ცენტრალური კომიტეტის ძველ შენობასთან თხუთმეტმა კაცმა გამსახურდიას მხარდასაჭერად შიმშილობა გამოაცხადა. ამ აქციის მიმდინარეობის დროს ზვიადის თხოვნა, ეყოფილიყავი მისი საზოგადოების წევრი საზღვარგარეთ, არ დავკმაყოფილე. ამ შემთხვევის გამო ზურაბ ჭავჭავაძემ მიწინასწარმეტყველა: „ეგ ისეთი ბოღმა კაცია, უცხოეთში შენს ჩასვლამდე რაღაც უბედურ ჭორს გაგივრცელებსო“.

საფრანგეთში ჩემი გამგზავრების პერიოდში მანანა არჩევაძე გერმანიაში ბრძანდებოდა. იგი ყველანაირი საშუალებებით ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს სუკ-ის დავალებით ჩავდიოდი პარიზში ემიგრაციის დასაშლელად. პარალელურად ზვიად გამსახურდია დაუკავშირდა ალექსანდრე გინსბურგსს და რამდენიმე ქართველ ემიგრანტს. მან მოუთხრო სუკ-ში ჩემი „ბოღვაწეობის“ თაობაზე. საბედნიეროდ, გამსახურდიაარჩევაძის დეუტს ეს ნომერი არ გამოუვიდა. ქართულ ემიგრაციაში აღმოჩნდნენ ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები, რომელთა საერთო ოჯახის წევრიც გავხდი.

— ამის შემდეგ აღარ უცდია თქვენთან კონტაქტის დამყარება?

— ტელეფონის საშუალებით [illegible] რიზიდან მე ვცადე დალაპარაკებულ[illegible] რამ ვერ შევძელი. მასთან საუბრის მიზეზი რამდენიმე თვის წინ გოგი ხოშტარიას სტუმრობა იყო. საფრანგეთში ჩამობრძანებულმა ბატონმა გოგიმ შეხვედრისას გადმომცა რაღაც წერილი და გამსახურდიას კატეგორიული მოთხოვნა: მიმეტოვებინა საქმინობა რადიოსადგურ „თავისუფლებაში“. თან დამემუქრა, წინადადების მიუღებლობის შემთხვევაში გაამრავლებდნენ და გაავრცელებდნენ აღნიშნულ წერილს. წერილში მოთხრობილი ამბების საფუძველზე ბრალი მედებოდა მერაბსა და ზვიდს შორის გართულებული ურთიერთობის დამადასტურებელი ფაქტების ჩხრეკვაძიებაში. შემოთავაზებულ წინადადებაზე, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე. ამის თაობაზე ვცადე დავკავშირებოდი ზვიადს. როგორც გითხარით, საუბარი არ შედგა. ყოველივე ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ სამხახეკარი წელიწადი უცხოეთში ტყუილად არ გამიტარებია. ჩემი ემიგრაციაში წასვლა და რადიოში მუშაობა გამსახურდიას საკუთარი მიზნების განხორციელებაში ხელს უშლიდა, ესე იგი, სასიკეთოდ მიმუშავია.

— ბატონო ზაქარია, სამუდამდ აპირებთ ემიგრანტის ბედის გაზიარებას, თუ საქართველოში დაბრუნდებით საცხოვრებლად?

— იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აღიდგენს დამოუკიდებლობის სტატუსს, თურიდიულად და ფაქტიურად გახდება სუვერენული ქვეყანა, რა თქმა უნდა, სამშობლოში ჯობია ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრანგეთში გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, ბრძოლას ჩემი ქვეყნის ჭეშმარიტი დაუმოუკიდებლობისათვის. ასე რომ, ჩემი ჩამოსვლის მიზანიც ორმხრივია: პოლიტიკური და დაზვერვითი.

ესაუბრა

თამარ მოლაშვილი

რედაქციისაგან: ბატონ ზაქარია ლაშქარაშვილის ინტერვიუს ფინალმა ცოტა არ იყოს დაგვაბნია. „შინაურულად“ რომ „მოვთარგმნოთ“, იგი გვიირდება, თუ გაშლილ სუფრას დამახვედრებთ, საფრანგეთიდან ჩამოვალ და იმ სუფრას შემოვუჯდები, თუ არა და საფრანგეთში გავაგრძელებ ჩემს საქმინობასო...

რბილად თუ ვიტყვით, უცნაურია ასეთი განაცხადი. მით უფრო ინტერვიუს შესანიშნავი სათაურის შემდეგ.

რაშია წარმატების საიდუმლო?

დღესაც, ისევე, როგორც ამ 74 წლის წინ, საქართველო გზაჯვარედინზე დგას: მან უნდა აიჩიოს ერთადერთი სწორი გზა. გზა, რომელიც მიგვიყვანს ქვეყნის კეთილდღეობამდე, მისი პოლიტიკური, სამეურნეო, ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის სრულ ამოქმედებამდე.

მაგრამ, რა გზაა ეს გზა? დღეს პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები, ჟურნალისტები და ბუნებრივია, ყველა ქართველი, სპეციალისტებიც და არასპეციალისტებიც გაცხოველებით ბჭობენ იმის თაობაზე, თუ რა ეშნათ, რა გზას დავადგეთ, სით ვეშნათ პირი და განვითარების რომელი მოდელი ავირჩიოთ თუ ჩვენი, ჯერ კიდევ გაუკვალავი გზით ვიაროთ.

ამიტომ, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის და საერთოდაც ფართო საზოგადოებრიობისათვის, ინტერესმოკლებული არ იქნება იმ ქვეყნების, განსაკუთრებით კი ყოფილი კოლონიების განვითარების გზის წარმოჩენა, რომლებიც ჩამორჩენილი, განუვითარებელი ქვეყნებიდან მსოფლიოს მოწინავე, ეკონომიკურად ძლიერ და დემოკრატიულ სახელმწიფოებად იქცნენ.

თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ყველა ქვეყანას განვითარების თავისი გზა აქვს, რაც განპირობებულია ამ ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობით, გეოპოლიტიკური მდებარეობით, ეროვნული ხასიათით და აშ. ამდენად, არ არსებობს ისეთი მოდელი სახელმწიფოს განვითარებისა, რომელიც შეიძლება ერთნაირად მოერგოს სხვადასხვა ქვეყანას, მაგრამ ის, კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოფილ კოლონიათა განვითარების ზოგიერთი ეტაპები გარკვეულწილად ხასიათდება მსგავსი ნიშნებით.

ამჯერად, მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ ასეთ ქვეყანაზე, კერძოდ, სამხრეთ კორეაზე, რომლის განვითარების პერიოდიც მსოფლიოში მოინასლა „კორეული საოცრების“ სახელით.

კორეა ძლიერ ჩამორჩენილი და განუვითარებელი ქვეყანა იყო. იმდენად ჩამორჩენილი, რომ 1945 წელს, კორეის ნახევარკუნძულის იაპონელი კოლონიზატორებისაგან განთავისუფლების შემდეგ, ამერიკელი მეცნიერები და დიპლომატები ურჩევდნენ თერთ სახლს მეურვეობა აეღო ამ ქვეყანაზე, რადგანაც მათი აზრით, ეს ქვეყანა არ იყო მზად დამოუკიდებელი არსებობისათვის,

მაგრამ ახლა, 45 წლის შემდეგ, სამხრეთ კორეამ რადიკალურად იცვალა სახე და იგი მკვიდრად დაეფუძნა მსოფლიოს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც განუხრელად ვითარდებიან აღმავალი გზით.

რაშია სამხრეთ კორეის ასეთი წარმატების საიდუმლო? ხშირად, ამის შესახებ, ასეთი აზრიც კი თქმულა: ყველაფერი კორეელი ხალხის ეროვნულ თვისებებშია, რაც ბუნებრივია, მცდარი აზრი გახლავთ, რადგანაც ჩრდილოეთ კორეაშიც ისეთივე კორეელები სახლობენ, როგორც სამხრეთში, მაგრამ იქ განვითარების რა დონეცაა, ყველას კარგად მოეხსენება.

აქ საქმე არა კორეელთა ეროვნულ თვისებებშია, არამედ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში, რომელშიც ცხოვრობს ეს ხალხი, და რა თქმა უნდა, ქვეყნის განვითარებისათვის მთავრობის მიერაღებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრატეგიაში.

1945 წლის შემდეგ, ანუ იაპონელი კოლონიზატორებისგან განთავისუფლების შემდეგ, სამხრეთ კორეა ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით დადგა საბაზრო ეკონომიკის გზას, თუმცა წარმატებები უცბად არ მოსულა. ამერიკელებმა კორეა აავსეს სამხედროთა და კრედიტებით, მაგრამ ქვეყანა უძიროდ ულასავდა ყველაფერს, ეკონომიკურ-ცხელებამ მოიცვა, მრეწველობა ჩანასახოვრივ მდგომარეობაში იყო, სულ უფრო იზრდებოდა უმუშევრობა, არნახული ტემპით გაიზარდა ინფლაცია, კორუფციამ და დანაშაულობებმა მოიცვა ქვეყანა.

და აი ამ დროს, 1960-იან წლებში სამხრეთ კორეაში მოხდა მთავრობის შეცვლა. ხელისუფლება სამხედრო ძალით ხელში ჩაიგდო პაკ ჩეონ ხიმ, რომელმაც ქვეყნის განვითარების სულ სხვა სტრატეგია აირჩია, კერძოდ, მრეწველობის საექსპორტო დარგების განვითარება უცხოური კაპიტალდაბანდებებისა და ტექნოლოგიის მოზიდვისათვის, ოპტიმალურად მისაღები პირობების შექმნა, წარმოების გაიაფება ხელფასის გაყინვის გზით და აშ.

ეს მთავრობა პოლიტიკაში ატარებდა რეპრესიულ მეთოდებს, ყოველნაირად უხშობდა გზას კომუნისტური ადმინისტრაციულ-მბრძანებლური იდეების გავრცელებას, კატეგორიულად უარყოფდა გათანაბრების პრინციპებს, კერძო საკუთრების ხელყოფასა და სოციალურ მოძრაობას. ამასთანავე, სრულ თავისუფლებას აძლევდა მოქალაქეებს სამეურნეო, ეკონომიკურ, კომერციულ საქმიანობაში, რამაც თავისი სასიკეთო შედეგი გამოიღო და სამხრეთ კორეა დაადგა ეკონომიკური განვითარების აღმავალ გზას.

თანდათან, მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური წარმატებების საფუძველზე, განთლებული საშუალო კლასის რიგების ზრდის ბაზაზე და რა თქმა უნდა, ამერიკის მთავრობის დახმარებით, შესაძლებელი გახდა მმართველობის დემოკრატიულ ფორმაზე გადასვლა და 1980 წლიდან ქვეყანა უკვე სახალხოდ არჩეული პრეზიდენტისა და ეროვნული ასამბლეის მიერ იმართება. თუმცა, ჯერ უნდა ითქვას, რომ სამხრეთ კორეის დემოკრატია დღისათვის, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პროიორიტეტი ენიჭება კუთხურობის და ჯგუფურობის პრინციპებს.

სამხრეთ კორეაში პოლიტიკითაა გატაცებული ყველა-დიდი და პატარა, მათი სოციალური წარმოშობისა და მდგომარეობის მიუხედავად. საწარმოო დაწესებულებებში, კომპანიებში, ფირმებში, ხალხის თავშეყრის სხვა ადგილებში ხშირად იმართება კამათი პოლიტიკურ საკითხებზე, რაც ზოგჯერ ჩუფურ დაპირისპირებებში გადადის და უმართავ ხასიათსაც კი იღებს ხოლმე.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, რაც იმითაც კი გამოიხატება, რომ წამყვანი გაზეთების ოფისები სეულის ცენტრალურ ქუჩაზე, ფეშენებელურ შენობაშია მოთავსებული და ყველა პოლიტიკური მოღვაწის კარი ჟურნალისტებისთვის მუდამ ღიაა. ეს უკანასკნელნი აქ დიდ პატივში არიან და მათ მოსაზრებასა და პროგნოზებს საკმაო ანგარიშს უწევენ.

პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთთან ურთიერთობისას არ იცავენ დახვეწილი პოლიტიკური კამათის პრინციპებს. ჭარიზმატიულ ბელადებს შორის მიმდინარეობს დაუნდობელი, საჯარო, ხმაურიანი, ხშირად მუქარანარევი და ერთმანეთის შეურაცხმყოფელი ბრძოლა. პრეზიდენტმა რო დე უმ შესძლო ზოგიერთი ასეთი ოპონენტის მოთოკვა. დაურიგა მათ წამყვანი თანამდებობები ახალ, კოალიციურ დემოკრატიულ ლიბერალურ პარტიაში, ხოლო ზოგიერთს კი სამომავლოდ მაღალი სახელმწიფო თანამდებობები შეესთავაზა.

პოლიტიკურ ბრძოლაში და ხელისუფლების მწვავე კრიტიკით განსაკუთრებით გამოირჩევიან სტუდენტები, რომლებიც ისევე, როგორც ბევრ აზიურ ქვეყანაში, აქაც ტრადიციულად ითვლებიან რევოლუციური იდეების მოწინავე მატარებლებად. ადრე თუ ისინი დიქტატორული რეჟიმის დამხობისათვის იბრძოდნენ, ამჟამად მათი საბრძოლო ლოზუნგია კორეის გაერთიანება.

კითხვაზე, თუ რატომ არიან კორეელები ასე ჩაფლულნი პოლიტიკაში, ისინი პასუხობენ, რომ პატარა, თანაც გაყოფილი ერი ვართ და ჩვენ გვაქვს უმრავი პრობლემაო.

დღეს სამხრეთ კორეის დემოკრატია ჯერ კიდევ ნორჩია და არა სრულყოფილი, მაგრამ იმის საფუძველი ნამდვილად არსებობს, რომ აქ დემოკრატიას ფართო პერსპექტივები აქვს, რისი პირველი საწინდარიც ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარება, და რაც ყველაზე მთავარია, თვითონ კორეელთა პოზიცია, რომლებიც კატეგორიულად უარყოფენ ცხოვრების ძველ წესსა და მმართველობის სტრუქტურებს და მუხლჩაუხრელად შრომობენ ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე.

ორიოდე სიტყვით სამხრეთ კორეის ეკონომიკაზე: დღეისათვის კორეის ქალაქების მოსახლეობის 70 პროცენტი და სოფლად მცხოვრებთა 90 პროცენტი დაკმაყოფილებულია კეთილმოწყობილი ბინებითა და საკუთარი სახლებით. კორეის მცხოვრებთა საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობამ დიდი ხანია გადააბიჯა 70 წელიწადს. წელიწადში საშუალოდ 10 პროცენტით იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასები, მაღაზიებისა და სუპერმარკეტების დახლები სავსეა მაღალი ხარისხის იმპორტული და სამამულო საქონლით, კორეის სამრეწველო ფირმები კონკურენციას უწევენ მსოფლიოს ცნობილ კომპანიებსა და ფირმებს.

ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კორეაში იდეალური წესრიგი სუფევს — კორეის მცხოვრებს არ ეშინია იმისი, რომ ვინმე გაქურდავს, მანქანას მოიტაცებს ან უაზაღურად დაესხმება თავს. აქ სახლებს და მანქანებს საგულდაგულოდ არ კეტავენ და ყველა ერთნაირად იცავს კანონს, მოუხედავად იმისა, თუ რა სოციალურ და იერარქიულ კიბეზე დგას იგი.

რა თქმა უნდა, კორეას ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, მაგრამ ერთი რამ უდავოა:

სამხრეთ კორეა მტკიცედ მიაბიჯებს ეკონომიკური აღმავლობისა და დემოკრატიული სრულყოფის გზაზე.

სერგო ჯანაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპორტაჟი გამომცემლობა „მერანის“ თარგმანის რედაქციიდან

პრეზიდენტის არჩევნების წინ

ორი წერილის ერთი ციდა კომენტარი

რედაქტორისაგან:

ბატონო ტაგუ, მთელმა დუნიამ არა, მაგრამ ჩემი ერთ-ერთი წიგნის მკითხველმა და პირადად თქვენ, შესანიშნავად იცით, რომ თქვენი პოეზიის პატივისმცემელი გახლავართ.

ბატონო ტაგუ, მთელმა დუნიამ არა, მაგრამ მე, დღეის ამას იქით, ვიცი, რომ თქვენ თქვენი პიროვნების პატივისმცემელი არ ბრძანდებით, რაშიც „დარწმუნდებით“ ამ ორი წერილის გვერდიგვერდ დაბეჭდვის შემდეგ.

თქვენს ამ წერილებს იმ იმედით ვაქვეყნებ, რომ მომავალში მაინც ჩემთან ერთად თქვენც სცემთ პატივს თქვენს პიროვნებას...

*

ამ ნათელ ოთახში, რუსთაველის პროსპექტს რომ გადაჰყურებს, უცხოური ლიტერატურის თარგმანის რედაქციაა მოთავსებული. აქ კარგა ხანია დარღვეულია მშვიდი სარედაქციო საქმიანობა, დედნების გულმოდგინე კირკიტი, მთარგმნელებთან ხან ცხარე კამათის, ხანაც დარბაისლური საუბრის ტრადიცია. რაც აზვირთებული ჩვენი ეროვნული მოძრაობა ნაპირებს გადმოსკდა, აქ, თითქმის ყოველდღიურად, ვიყრით თავს „მერანის“ თანამშრომლები (და არა მარტო თანამშრომლები) და ვესწრაფით პოლიტიკური ორომტრიალის პროგნოზირებას, ვცდილობთ ნაღდი და ფსევდო მამულიშვილების ერთმანეთისაგან გამორჩევას.

ჩვენი კუმირი იმთავითვე ზვიად გამსახურდია იყო. მისდამი სიყვარულის, ერთგულების და ნდობის რეიტინგი აქ ალბათ, ყველაზე მაღალია მთელს რესპუბლიკაში. ამაში ტონის მიმცემნი ქართველი მანდილოსნები ბრძანდებიან. მათ ფანატიზმამდე მისული სიყვარული ძალუძთ, მაგრამ არამც და არა, ბრმად არ უყვართ. ბრმად რომ ჰყვარებოდათ, ვერ შეძლებდნენ მათთვის უსაყვარლესი ბარე ორი, მეტად პოპულარული, პიროვნებების, კერპების, თუმცა დანანებულ, მაგრამ მოურიდებელ მსხვრევას, როცა ისინი ეროვნულ მოძრაობას ცუდად გამოებლანდნენ ფეხებში, უსწორო პოზიციის გამო.

მაისის უჩვეულო ცივი დღეა. მზე კი ანათებს, მაგრამ რიგიანად ვერ მზეობს. სამი საათი გახდა თუ არა, თარგმანის რედაქციაში მოვქუხდით. ძირითადად, „მერანელები“ ვართ, ორიოდე უცხო გვირევია მხოლოდ. როგორც ყოველთვის, უცხოური ლიტერატურის თარგმანის რედაქციის გამგე, მთარგმნელი **ნუნუ ხომერიკი** იწყებს:

— გააჩირა პირდაპირ საქმე ეროვნული თანხმობის კავშირმა წარამარა იმის ძახილით: ზვიად გამსახურდიას ინტელიგენცია არ უდგას მხარშიო. აბა ჩვენ ვინა ვართ? ზვიადის გულმხურვალე მხარდამჭერი არაა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა მუხრან მაჭავარიანის თავჯაცობით? სხვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო „მერანში“ მომუშავე ათზე მეტი მწერალი გამსახურდიას თავგამოდებული მომხრე არაა?!

ცირა ინწკირველი, წამყვანი რედაქტორი, მკვლევარი:

— აჯობებდა, მაგათ ის ეთქვათ, ჩვენს რიგებში მყოფი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი არ ვუპერთ მხარსო; ეგ მართლაც მართალი იქნებოდა.

ტაგუ მებურიშვილი, რედაქციის გამგე, მწერალი:

ამას წინათ, ერთ-ერთ თავყრილობაზე, ერთმა უპირველესმა ქართველმა მწერალთაგანმა გულწრფელად, მხრების უმწეო აჩეჩვით თქვა, არა ვარ, ბატონებო, რევოლუციონერი და მომკალით ახლარ. მართლაც დიდი, უსისხლო რევოლუცია მოხდა საქართველოში და შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელმა თანაბრად ვერ მიიღო იგი. მე ბუნებრივად მეჩვენება ბევრი მათგანის წინდახედულება, სიდინჯე და ვამართლებ კიდეც, თუ ეს სიდინჯე და წინდახედულება არაა ეროვნული ინტერესების საზიანო. მრავალი ქართველი მწერალი შეჰყურებს სასოებით ჩვენს პრეზიდენტს, ეს ჩემი მეგობარი კოლეგების მაგალითით ვიცი.

გივი ალხაზიშვილი, მწერალი, მთავარი რედაქტორი.

— მაგათი „თანხმობის“ არაერთი და ორი წარმომადგენელი საქართველოს ცეკას პირველი მდივნების, მათი დიდი და პატარა ვეზირების ამალის მუდმივი წევრები იყვნენ და უხვად სარგებლობდნენ დამსახურებული წყალობით ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე.

იზოლდა ლეჟავა, მთარგმნელი, წამყვანი რედაქტორი:

— ხომ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს ზვიადს, მაგრამ ორი იმდენიც რომ ჰყავდეს, ასე მგონია, მაინც ვერაფერს დაიკლებენ, ღმერთის რჩეულია.

მილიცა ჯაფარიძე, მთარგმნელი, წამყვანი რედაქტორი:

— ზვიადის შემწე საკუთარი თავია, თუმცა არც ისაა საეჭვო, უფალი რომ კარგი თვალით უყურებს.

ნანი მაძაღუა, მთარგმნელი, წამყვანი რედაქტორი:

-კონსტანტინე გამსახურდიას შვილს მამისთვის და მამამისის მეგობრებისთვის რომ ესმინა, მხოლოდ ესეც ეყოფოდა.

ნუნუ ხომერიკი: მართლა, სწავლამ გამახსენა: ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა უმრავლესობის ნაზრევში აშკარად ჩანს დიპლომატიის, პოლიტიკური ცოდნის სიმწირე. და ეს არცაა გასაკვირი, ისინი ახლად გამომცხვარი, ფეხის ხმას აყოლილი პოლიტიკოსები არიან. აკლიათ ამ სფეროში ღრმა განსწავლა, გამოცდილებაც. ეს არაა სამარცხვინო. მერე რა მოხდა, შეიძლება მეცნიერი რიგიანი იყო, მაგრამ, პოლიტიკოსად ვერ გამოდგე. სამარცხვინო ისაა, სამშობლოს აშკარა წინსვლას ხედავდე და არ აღიარებდე. ზვიად გამსახურდია 35 წელი ემზადებოდა იმისათვის, რომ ეპოვნა მშობელი ერის ხსნის გზა, ამ გზაზე მან უზარმაზარი ცოდნა და გამოცდილება შეიძინა. სწორედ ეს ცოდნა და გამოცდილება შველის, რომ შეცდომები არ დაუშვას ან მინიმუმამდე დაიყვანოს ისინი.

ტაგუ მებურიშვილი: თქვენ როგორ გგონიათ, რატომ აქვს ცენტრს ზვიად გამსახურდიასადმი ლამის შიშნარევი, ფრთხილი, ანგარიშგამწევი [illegible]ამოკიდებულება? სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ათობით უცბიერესი ფანდის მფლობელმა იმპერიამ, თუმცა რამდენიმე ქულა აართვა, ვერ შეძლო მისი წამოჩოქება. თავის მხრივ მოწინააღმდეგეს ვალში არ დარჩენია ჩვენი ფალავანი და მასთან შერკინებისას თავადაც ბარე ორი მომგუბიანი ქულა აიღო.

ზვიად გამსახურდიაში რომ დიდ დიპლომატიურ ნიჭს ხედავენ იმპერიის მესვეურნი, ამიტომ ვერ გადმოდიან გადამწყვეტ შეტევაზე. რადგან დარწმუნებული არ არიან, რომ ფეხს არ წაიტეხენ.

ნინო ახალკაცი, წამყვანი რედაქტორი, კრიტიკოსი:

მაინც რა ამბავია პრეზიდენტობის ამდენი კანდიდატი? საკვირველია პირდაპირ ასეთი გაიოლებული წარმოდგენა პრეზიდენტობაზე. განა მოსკოვში დეპუტატთა ყრილობაზე ერთი ორი, თუნდაც რიგიანი, გამოსვლა იმას ნიშნავს, რომ ამ ჯოჯოხეთურ დროში რესპუბლიკის თავკაცად გამოდგები? და ხალხი შენ უფრო გამოგყვება, ვიდრე ზვიადს, რომელსაც ძალუძს ორ დღეში ააზვირთოს მთელი საქართველო!

ვახტანგ ხარჩილავა, რედაქციის გამგე, მწერალი:

— ღმერთმა არ ქნას, რომ ქართველი ხალხი შეცდეს (რაც არ შეიძლება მოხდეს) და ზვიადის გარდა სხვა კანდიდატს მისცეს ხმა, ეს იქნება უდიდესი შეცდომა, რასაც მართლაც გაუთვალისწინებელ-გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება. მაშინ აიშვებს თუ აიშვებს თავს დღეს დათრგუნვილი მრავალი თვითმარქვია ერის წინამძღოლობის მოსურნე და მოიწადინებს თავის დაკრულზე აცეკვოს [illegible] მრავალტანჯული საქართველო. ა[illegible] უკეთური, შინაური და გა-[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნმკითხავი არავინ იქნება. მუხლმოუმაგრებელი დემოკრატია ვერ დაიმორჩილებს რეანიმირებას მოწადინებულ იმ უამრავ ძალას, ეროვნულმა პარლამენტმა რომ ამოსდო აღვირი. ამიტომ ჩვენი დამოუკიდებლობისა და თვითისუფლების დაწყებული შენობა ვინც დაიწყო, იმან უნდა დაამთავროს. სხვა ისე დაანგრევს, რომ ველარასოდეს აგაშენებთ.

ნინო ახალკაცი: სწორედაც დავით აღმაშენებლის გზას მიჰყვება ზვიად გამსახურდია.

ამასობაში კარს მოადგა „მერანის" დირექტორი — კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი: თან საქმე, მეგობრებო, თან საქმე.

მილიცა ჯაფარიძე: საქართველოს საშველს დავეძებთ, ამაზე უკეთესი საქმე რაღა იქნება, მობრძანდით.

გურამ გვერდწითელი: მეგობრებო, მე საქართველოს საშველს, სხვებთან ერთად, ეროვნულ პარლამენტში ვეძებ, თქვენ აქ განაგრძეთ და ვიპოვით, უსათუოდ ვიპოვით.

იგი პირღიმილიანი გვტოვებს.

უცნობი სტუმარი (ავტორი):

მე მგონი, მანანა არჩვაძე არ უნდა ხელმძღვანელობდეს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის კამპანიას, ამან ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მტრებს სალაპარაკო მიეცათ.

ნუნუ ხომერიკი: სად იყვნენ მაშინ ის მტრები, როცა მანანა არჩვაძე და მისი შვილები რეპრესირებული და შევიწროებულები იყვნენ?

ცივილიზებული სამყაროსათვის უცხო არაა მსგავსი მოვლენა. იქ ხომ პრეზიდენტობის კანდიდატების მეუღლეები განაგებენ საარჩევნო კამპანიებს. მაინცდამაინც ჩვენ უნდა გაგვიკვირდეს ის, რაც გასაკვირი არაა, ის, რაც ჩვეულებრივია?

ტაგუ მებურიშვილი: ქალბატონი მანანა პრეზიდენტის თანამებრძოლია. რამდენიმედან ერთ ფაქტს აღვნიშნავ მხოლოდ. ამ ორიოდე წლის წინათ, ეროვნული მოძრაობის აზვირთება რომ დაიწყო, ჯერაც [illegible]ნის ჩვენ სახალხო ფრონ[illegible]ობა დაუკარეს. მწერალთა კავშირში შევიტყვე ეს. მაშინვე გამომცემლობას მივაშურე, ნოდარ წულეისკირისთვის მინდოდა მეთქვა, მაგრამ იგი იქ არ დამხვდა, შინ დავურეკე და მითხრა: ზვიადს მიაწვდინე ხმა და მეც მალე მოვალო. მე მაშინვე დავურეკე, ყურმილი ქალბატონმა მანანამ აიღო. მოკითხვის მერე მოსალოდნელი საშიშროების შესახებ ვაუწყე. მან მითხრა, ზვიადი შინ არაა, მაგრამ სადაც არის, ხმას იქ მივაწვდენო.

ნახევარ საათში ნოდარ წულეისკირმა შემოაღო გამომცემლობის კარი, მე ფოიეში ველოდებოდი. ათიოდე წუთში კი ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მობრძანდნენ. ინფორმაცია მოისმინეს და გაბრუნდნენ. მეორე დღეს, საღამოს, მწერალთა კავშირში სახალხო ფრონტის დაფუძნება იმ სცენარით არ მომხდარა, როგორც ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა განზრახული, თუმცა არც ეს ისე მოხდა, ზვიად გამსახურდია [illegible] და მერაბ კოსტავას რომ სწადათ.

ასე, რომ ქალბატონი მანანა მუდამ მოვლენების შუაგულში ტრიალებდა.

რედაქციის სტუმარი (ავტორი): სოციალური ყოფის გაუარესება სახეზეა, ეროვნულ ჭირთა წამლობა ძნელდება, ამ ეთნოკრიზისებსაც საშველი არ ადგება.

ნინო ახალკაცი: ეთნოკონფლიქტს მანამდე არ დაადგება საშველი, სანამ ჩვენი თავი მართლა ჩვენვე არ „გვეყუდნება". ტყუილად უთვლიან შეცდომად ეროვნულ პარლამენტს „პოლიტიკოსები" ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას. თითქოს, ფაქტის წინაშე არ დაგვაყენეს ოსმა ყაჩაღებმა. ავტონომიური ოლქი ხომ გულზე გვეხატა და ახლა მთლად მოკავშირე რესპუბლიკად რომ გამოაცხადეს.

ტაგუ მებურიშვილი: სოციალური ყოფის გაუარესება სიმართლეა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ სიდუხჭირე რუსეთის გზით შემოვიდა საქართველოში. როგორ? კომუნისტური ხელისუფლება რომ დარჩენილიყო რესპუბლიკის სათავეში, ეკონომიკური სიძნელეები ნაკლებად გვექნებოდა? განა ეს ეკონომიკური ძნელბედობა მთელი კავშირის მასშტაბით არაა გაბატონებული? აბა რატომ ვუკიჟინებთ ეროვნულ ხელისუფლებას იმ ათასი სტიქიური სასწრაფოდ მოუგვარებლობას, რომელთა მოგვარება უკვე დაიწყო და თანდათან, უდიდესი ძალისხმევით, უნდა განხორციელდეს.

იზოლდა ლეჟავა: ყველაფერი ხომ, თუმც ძნელად, მაგრამ მაინც ლაგდება, ვინ მოგვართმევს ერთბაშად ყველაფერს, მუხლების გადაყვლეფის და თითების გასისხვლის ფასად მოვა ყოველივე.

გივი ალხაზიშვილი: ნუთუ შრომის, პროფესიული შრომის ანბანიც შესასწავლი გვაქვს?

ვახტანგ ხარჩილავა: პროფესიონალიზმს ფასი დაკარგული რომ ჰქონდა, იმიტომაცაა პროფესიონალთა დეფიციტი. ალბათ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოგვევლინება მხსნელად, თუ დაეწყნარდით და მშვიდი ცხოვრება გვეღირსა. მაგრამ ამის განსახორციელებლად რამდენი მოსამზადებელი სამუშაოა ჩასატარებელი.

ნუგზარ შატაიძე: რედაქციის გამგე, მწერალი:

საჭირო კადრების დეფიციტი აშკარაა და, ალბათ, მანამდე იქნება, სანამ ახალი თაობა არ ეზიარება ევროპულ განათლებას, თანაც ეს განა ერთ და ორ დარგში გვესაჭიროება?

რედაქციის სტუმარი (ავტორი): პრეფექტები ვერ ამართლებენ იმედს; რა ბრუნდსა და მართალს არ ჰყვებიან მათზე...

ნინო ახალკაცი: ყოველ შემთხვევაში, იმ პრეფექტებს კაბინეტში ილია ჭავჭავაძის სურათი უკიდიათ და არა ლენინისა, მართალია, ხელმძღვანელისთვის საჭირო თვისებები ბევრს აკლია, მაგრამ მონდომებული კაცი მაგასაც დაეუფლება, დროა საჭირო...

ნუნუ ხომერიკი: უსათუოდ არიან სუსტი პრეფექტები, მიტმასნილებიც გაძვრნენ ალბათ თანამდებობებზე, უამისობა არც იქნება, 70 წელი „საქმის ჩაწყობას" არ ვსწავლობდით? ასე ერთბაშად ადამიანებს რა გარდაქმნიდა? მოვლება, ალბათ, ბიძაშვილ-მამიდაშვილობასაც!

ტაგუ მებურიშვილი: თანდათან მოვლება. მთავარია, ძველი სტრუქტურების შესაცვლელად ხელსაყრელი პირობები დაგვიდგეს. ეროვნული სულისკვეთების პატიოსანი წარსულის მქონე კადრები დაწინაურდნენ, რომლებიც იქნებ, საქმის ცოდნით მაინცა და მაინც ვერ ბრწყინავდნენ, მაგრამ მონდომება და საერთო საქმის სიყვარული ბევრ სიძნელეებს გადაგალახვინებთ... მათგან „საბოტაჟი" ხომ მაინც იქნება გამორიცხული.

რედაქციის სტუმარი: (ავტორი): ვფიქრობ, კომუნისტებს ჯერ კიდევ არ უთქვამთ საბოლოო სიტყვა, ისინი, ალბათ ასე „ზრდილობიანად" არ დატოვებენ სარბიელს.

ცირა ინწკირველი: უნდა იმყოფინონ. ისედაც მეტისმეტად ბევრი უბედურება დაგვატეხეს თავს? ნეტა, რატომ არ ტოვებენ თავთავიანთ საბუდრებს? ეს საბუდრები ძველებურად თბილი და ღუნტული ხომ აღარაა? იქნებ ზამთრის ნარჩენი თოვლივით ახალ ზამთარს ელოდებიან?!

ტაგუ მებურიშვილი: გორბაჩოვის იმედს ვერ ელევიან! მან კი იმით „გვაიმედა", რომ საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიის ცენტრალი მაისის დღესასწაული მიულოცა, სწორედ ჩვენი ეროვნული გლოვის დღეს, პირველ მაისს.

მე ამდენ ხანსაც მეგონა დაიცლებოდა კომპარტიის რიგები, მაგრამ შევცდი და ახლა ვერ ამიხსნია, მაინც რატომ არ ტოვებენ, რა აბრკოლებთ, რას ელოდებიან?! იმას ხომ არა, ეროვნულ ხელისუფლებას ემანდ იქნებ ფეხი გადაუბრუნდეს და ბატონობის ხანა კვლავაც დაგვიბრუნდესო?!

გივი ალხაზიშვილი: პრეზიდენტობის ზოგიერთი კანდიტატი, დღევანდელი პრეზიდენტის ლანძღვით აგროვებს ქულებს. ამ, უკაცრავად პასუხია, უზნეობას მთელი საქართველო ხედავს.

სპარტაკ ცინცაძე, მხატვარი, რედაქციის გამგე:

ოპოზიციონერიც ახლა ზვიადის მგმობელს ეწოდება, სხვას ვერაფერს უპირისპირებენ და რა ქნან?!

მზია დედანაშვილი, გამომცემლობის მხატვარი:

ისევე, როგორც 28 ოქტომბრის არჩევნებში, ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" გამარჯვება მიმაჩნდა. დღევანდელ ურთულეს სიტუაციაში კი საქართველოს პრეზიდენტობას გარდა ზვიადისა ვერავინ შეძლებს თავისი დაწყებული საქმე სწორედ მან უნდა მიიყვანოს ბოლომდე!

რუსუდან გოცირიძე, უმცროსი რედაქტორი:

ვინ შეედრება ბატონ ზვიადს? დღეს ბევრს ლაპარაკობენ ფანატიზმზე, ბრმა სიყვარულზე. ალბათ მეც იგივეს დამწამებენ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ საქართველოს საბოლოო განთავისუფლება ჩემთვის მხოლოდ ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება! იგი ერთ-ერთი კი არა, ჩემთვის ერთადერთი კანდიდატია პრეზიდენტობისა, მჯერა, რომ იგი გაიმარჯვებს.

ტაგუ მებურიშვილი

17.V. 91 წ.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო"

ძველის დამხობისა და ახალი ხელისუფალის მოსვლის შემდეგ

დიდი განდობა

1984 წლის გაზაფხულის ის დღეც ჩვეულებრივ, ერთფეროვან, არაფერით გამორჩეულ და არაფრით დასამახსოვრებელ დღეთა წყებას გაჰყვებოდა, ერთი უცნაურად უჩვეულო ფაქტი რომ არ მომხდარიყო.

მწერალთა კავშირში მეორე სართულზე ლომისა და ვეფხვის ფიტულებს შორის ვდგავარ და თავმჯდომარეს ველოდები, ტექნიკურმა მდივანმა მითხრა: ცეკაშია და დაბრუნდებაო.

ვუცდი.

ლრიჭოდ დარჩენილი, აივანზე გამავალი, კარიდან შაშვის სტვენა და გაზაფხულის სურნელი იჭრება.

სასახლეში ჩემს და ტექნიკურ მდივანს გარდა კაციშვილის ჭაჭანება არაა.

შუადღემ მოატანა და კიბეებზე მძიმე ფეხის ხმა მოისმა. ორჯერ შეწყდა, ეტყობა შეისვენა.

ნოდარ დუმბაძემ კიბეები ამოათავა. ისევ შეისვენა, მომესალმა და ხელით მანიშნა, წამომყევიო.

მე, სამწუხაროდ, არ ვიყავი მასთან დაახლოებული პირი და ეს თბილი, შინაური დამოკიდებულება ცრტა არ იყოს მეხამუშა.

რა თქმა უნდა, გავყევი.

ლაბდა გაიხადა და საკიდარზე დაკიდა.

გაღიმებული დაჯდა და მეც მანიშნა დავმჯდარიყავ, მაგრამ არა იქ, მაგიდის თავში რომ ვაპირებდი, არამედ მასთან ახლო.

ასეც მოვიქეცი.

ფართოდ, გაშლილად იღიმებოდა. აშკარად ეტყობოდა გახარებული რომ იყო.

ერთი პირო�ა გავიფიქრე, ალბათ, გულის სამკურნალო უებარ საშულებას მიგნო-მეთქი.

— მართალია, მანქანის მოცემით ჯერ ვერ გასიმოვნებ, არ მიგვიღია, მაგრამ იმისთანა ამბავს გეტყვი, სიხარულით ცას ეწევიო.

სმენად ვიქეცი.

— შენ რომ იცოდე, რამხელა საკეთეს უპირებს შევარდნაძე საქართველოს! მე შეიძლება ვერ მოვესწრო, მაგრამ შენ რომ მოესწრები, არ მეეჭვება და მაშინ გამიხსენეო.

გაოგნებული შევაჩერდი.

აღრფრთოვანებას მისი შავად ელვარე თვალები კი არ გაეფართოებინა, თითქოს დაეპატარავებინა.

ნოდარ დუმბაძე ნიჭითაც გამორჩეული იყო და ჭკუითაც და მისი ესოდენი აღტაცება ვერანაირად ვერ ჩაითვლებოდა ხბოს აღტაცებად.

— დაუჯერებლად გეჩვენება, ალბათ, მაგრამ უნდა დამიჯერო. ხომ გჯერა ჩემი?

— თქვენი კი მჯერა, მაგრამ მაინც რას გვიპირებს, ხსნის რა დასაბუთებული, უცილობელი საშველი გამონახა, იოტის ოდენა ეჭვიც რომ აღარ გაქვთ?!

— ამას ვერ გაგიმხელ, ამის გამჟღავნება ჯერ არ შეიძლება. შენც და ქვეყანაც იხილავთ საოცრებას: იგი გამოიხსნის საქართველოს.

მე ერთი რამე ნაღდად დავიჯერე, რომ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ რაღაც დიდი გეგმა გაანდო მეგობარ მწერალს, ალბათ ერთადერთს.

ეს მართლაც უეჭველს ჰგავს.

მაგრამ გასაოცარი ის არის, როგორ დააჯერა ასე უეჭველად მრავლის მნახველ-განმცდელი ნოდარ დუმბაძე იმაში, რომ რასაც აპირებდა, წყალგაუვალად, ჭეშმარიტად აღასრულებდა.

იქნებ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ იმის შესახებ მოუთხრო მწერალს, რომელიც მერე ასეთი თანამიმდევრობით განახორციელა და ლომის წილი დაიდო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გათავისუფლებაში, ორად გაყოფილი გერმანიის გამთელებაში და საბჭოთა კავშირის დაშლაში!

P.S. ბატონო რედაქტორო, ხომ არ მიაწვდენდით ხმას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომ მან დადასტუროს ეს დიდი განდობა, ანდა სულაც უარყოს იგი.

ტაგუ მებურიშვილი

12.III.92წ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა"

ახალი ეპოქის ზღურბლთან

ალექსანდრე ფოცხიშვილი

1992 წლის 6 იანვარს დასრულდა ქართველი ხალხის ისტორიაში 70— წლიანი ტოტალიტარული რეჟიმის ეპოქა.

გამსახურდიას ერთწლიანი ბატონობის პერიოდი ამ რეჟიმის ოდნავ ფორმაცვლილი გაგრძელება იყო როგორც თეორიულ პლანში (ე.წ.კონვერგენციის მოთხოვნით), ისე პრაქტიკული განხორციელებით. უფრო მეტიც, თუ წმინდა კომუნისტური რეჟიმის დროს ძველი სულიერი კულტურისა და მატერიალურ ფასეულობათა ნგრევის გვერდით ადამიანის არსებობისათვის ელემენტარული პირობების შექმნის თვალსაზრისით ხელისუფლების მხრიდან შეტად მცირე, მაგრამ რაღაც მაინც კეთდებოდა, მიტინგური მმართველობის დამფუძნებელმა ქალაქელმა მესიამ და მისმა აგრესიული პროვინციალიზმის აპოლოგეტმა იდეოლოგებმა მთელი წელიწადი ქართული სულიერი კულტურის შემქმნელ-მატარებელი ინტელიგენციის ლანძღვა-გინებასა და ქართველი მშრომელი კაცის ხელით მოპოვებული დოვლათის გაყოფა-მითვისებაში გაატარეს.

გულდათუთქული დავტირი კრავივით უცოდველ ახალგაზრდათა სიცოცხლეს, მათ თავიანთი სისხლით ჩამოგვრეცხეს ის ტალახი. ჩვენი ხელით რომ მივიგოზეთ სახეზე.

ვინც რა უნდა ისე იფიქროს, მე კი არა ვარ დაუსაბამო ძიძტევებლობისა და ყოველნაირი ცოდვის საყოველთაო პატიების მომხრე, რაც, სამწუხაროდ, ასე ხშირად გაისმის დღეს. მე მეჩვენება, რომ ჩვენ ისევ ვურევთ ცნებებს: შერიგების, მიმტევებლობასა და პასუხისმგებლობას. უბედური ქართველი ერის ხელოვნურად გათიშული და ურთიერთდაპირისპირებული შვილები აუცილებლად უნდა შევრიგდეთ, ხელიხელგადახვეულნი უნდა წავიდეთ წინ სასიკეთო მომავლის შენების გზაზე; ჩვენ, ქრისტიანულ მორალზე აღზრდილი ქართველი ხალხი, ვალდებული ვართ შეძლებისდაგვარად მიმტევებლები ვიყოთ, მაგრამ მიმტევებლები ვიყოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამნაშავეს პასუხს მოვთხოვთ, დამნაშავეს გავასამართლებთ და საჯაროდ, ქვეყნის დასანახად დავუმტკიცებთ თავიანთი დანაშაულის სიმძიმეს. ყველამ უნდა იცოდეს, ვინ ვინ არის და ვინ რისი მოქმედია და იყო. მიმტევებლობა დიახაც რომ კეთილშობილური საქციელია, მაგრამ ზედმეტი, გაუმართლებელი და მით უფრო საყოველთაო მიმტევებლობა საერთოდ კანონების წინააღმდეგ სასამართლოსა და დამსჯელი ორგანოების გაუქმების მცდელობაა, რაც, სადამდეც მიგვიყვანს, გასაგებია.

დავარქვათ ამ სასამართლო პროცესს, გნებავთ, ზნეობის სასამართლო, ოღონდ იგი აუცილებელია, რადგან ინფორმაცია- უქონელ მასას დღესაც არა სჯერა, რას ჩადიოდნენ გამსახურდიას რეჟიმის მესვეურნი.

დანაშაულისათვის დაუსჯელობა არა მხოლოდ კანონისადმი უპატივცემულობაა და საბოლოო ჯამში არასამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის საფუძველია, არამედ საზოგადოების საერთო უზნეობისაკენ წამქეზებელი უპირველესი მიზეზიც. დაუსჯელ დამნაშავეს მის გარშემო მყოფნი გამოკრეტინებულთა მასად მიაჩნია (რომლებიც კარგს-ავისგან, ბოროტს-კეთილისაგან ვერ არჩევენ), ან მათ ენაამოგლეჯილთა ნაბიჭვრ სახავს, (რომლებიც ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. ამიტომაც ახია მათზე, რაც მოსდით), რის გამოც გუშინდელი ჩვეულებრივი ცინგლიანი-მაბეზღარა ხვალ სისხლისმსმელ ურჩხულად იქცევა; ან, რაც არანაკლები უბედურებაა, მას თავი მართალი ჰგონია (მოწინააღმდეგის გულჩვილობასა და სიკეთეს საკუთარი პოზიციის სისწორად რაცხს) და დანაშაულებრივ ქმედებას ყოველდღიური ქცევის ნორმად იხდის. ხომ ცნობილია, რომ, როგორც წესი, დანაშაულს სჩადის ის, ვინც ერთხელ უკვე გაუსინჯა გემო დაუსჯელობის საწოვარადან შეხვრეპილ შარბათს. და უფრო უარესი ისაა, რომ დაუსჯელი და გამოუმჟღავნებელი დამნაშავე მშიშარაა. მას მუდამ თან დასდევს მოსალოდნელი სასჯელის წინაშე აშკარა თუ მალული გულისხვეთქვა. იგი მუდამ მხარდაჭერისა და დამცველის ძებნაშია. მერედა, ვინ შეიძლება მის გვერდით დადგეს?-რასაკვირველია, მისივე მსგავსი-დამნაშავე და სასჯელს გაქცეული. ამიტომაცაა, რომ ყველა ახლობელსა და მეგობარს გარეშემოიკრებს და მათი საშუალებით ხელქვეითებს დანაშაულებრივ საქმეებს აკეთებინებს. მან საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ დაუსჯელ დამნაშავეთა მართვა ძალიან იოლია. ასე ყალიბდება დამნაშავეთა ერთიანი საზოგადოება, რის უბრწყინვალეს ნიმუშსაც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა.

* * *

იქნებ მკითხონ, მე არა ვარ ის კაცი, ვინც ჩემსავით უპარტიოებს მოვუწოდებდი, რომ გამსახურდიასათვის მიეცათ ხმა პრეზიდენტის არჩევნებში?

დიახ, მე მხარს ზ.გამსახურდიას ვუჭერდი, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა რომ მას კომუნისტური დიქტატორის მანდატს ვაძლევდი. ამიტომაც იყო, რომ როცა დავინახე, პრეზიდენტმა საკუთარ ხალხზე იარაღი აიმართა და ამდენად, გაცილებით უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა ქართველი ერის წინაშე, ვიდრე თვით გენერალმა როდიონოვმა, ხმა ავიმაღლე ჩემივე არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 3 სექტემბერს და გაზეთ „დრონში“ ვწერდი მას: „თუ ღმერთმა გვიშველა და გლობალურ ძმათა სისხლისღვრას გადაგვარჩინა, (აკი ვერ გადაგვარჩინა!) ხომ კარგი, თუ არა და, რას ეტყვით აქ თქვენს მშობლიურ ერს, იქ კი — არსთა გამრიგეს? ყველამ იცის, რომ მშვიდობა თქვენზე და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული“. ბევრ სხვა რამეებსაც ვწერდი იმ წერილში.

ჩვეულებრივი ობივატელისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ორთოდოქსი კომუნისტების პრესის მოწინავე წერილების მოდელზე აღიზარდა, პოზიციათა ასეთი ცვლა მერყეობისა და უპრინციპობის ნიშანია, ჩემთვის კი პირიქით-პოზიციის სიმყარისა და აზროვნების თავისუფლების გამოხატულებაა იგი. ბოლოსდაბოლოს, უნდა გავიგოთ რომ **გონიერება პოზიციისადმი ერთგულებაში კი არ ვლინდება, არამედ ერთგულებაში იმ მუდმივი და უცვლელი კატეგორიისადმი, რასაც ჭეშმარიტება ჰქვია.**

პოზიცია მოვლენის დასაწყისში იკეთება, მაშინ, როცა ჯერ კიდევ გაურკვეველია მისი განვითარების მიმართულება და სასრული შედეგები. ჭეშმარიტება კი მოვლენის სასრულ წერტილში ჩანს ხოლმე და, თუ მოვლენის შედეგი აშკარად უარყოფითია, უფლება გვაქვს მის დამცველ საწყის პოზიციაზე დაეჭვდეთ?!

როცა პრეზიდენტად გამსახურდიას არჩევას ვუჭერდი მხარს, საპრეზიდენტო მართვის (მოვლენის) დასაწყისის სტადია იყო, ისე როგორც არავის, არც მე შემეძლო მცოდნოდა როგორ განვითარდებოდა ეს მმართველობა(მოვლენა). გამსახურდიას სასარგებლოდ კი ლაპარაკობდა მისი პიროვნების ის მხარეები, რაც აშკარად სახეზე იყო: ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტი, მწერლის ოჯახში გაზრდილი, თავადაც ლექსების ავტორი, კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი დისიდენტი, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ პარლამენტში უმრავლესობა „ბრგვალი მაგიდის“ ბლოკს ჰქონდა და სხვა პარტიის თუ ბლოკის წარმომადგენლის პრეზიდენტად გასვლის შემთხვევაში, ქვეყნის მართვა შეუძლებელი თუ არა, მეტად ძნელი გახდებოდა. მაგრამ, როგორც კი გამოჩნდა, პრეზიდენტი თავის დანაპირებს არ ასრულებს, ხოლო მისი პიროვნული თვისებებიც სრულიად საწინააღმდეგოა იმისა, რაც მისმა მეტწილად ზედაპირულმა და არასიღრმისეულმა მონაცემებმა შეგვიქმნეს, ჩემთვის აშკარა გახდა, მცდარ პოზიციაზე ვიდექი, საჭირო იყო გადაწყვეტილების მიღება: ან მონობა და მორჩილება, ან პოზიციის შეცვლა და ჭეშმარიტების გზას დადგომა.

ჩემი დევიზი მუდამ იყო და არის: **მეფობა რჩეულთა ხვედრი. მაგრამ მონობასა და თავისუფლებას შორის არჩევანი-ყოველი ჩვენთაგანის ხელთაა.** მე ერთი წუთიც არ მიცხოვრია მონური მორჩილებით. ვფიქრობდი და ვაკეთებდი იმას, რაც ჭეშმარიტებად მიმაჩნდა. ამის გამო გამოვედი პრეზიდენტის წინააღმდეგ.

დღეს ახალი მმართველობა (მოვლენა) დაიწყო. ამ მმართველობის დაბირებები: ძველი სტრუქტურების მოშლა, საწარმოთა პრივატიზაცია, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა, პიროვნების, პრესისა და ტელევიზიის სრული თავისუფლება... ჩემს იდეურ მრწამსს შეესატყვისება. ამიტომაც ახალ მმართველობას ვუჭერ მხარს. ღმერთმა ქნას, მათ დანაპირები შეესრულებინოთ, თორემ, თუ დავინახავ, ისინიც ძველი გზით ან ახლით, ოღონდ ჩემთვის მიუღებელი გზით მიდიან, ვერაფერი გამაჩერებს, ისევ აშკარად ვიტყვი ყველაფერს და სხვებსაც მოვუწოდებ ასე მოიქცნენ.

ყოფილი პრეზიდენტის შეცდომებსა და დანაშაულებებზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ითქვა იმაზედაც, რომ მან უცვლელად გადმოიღო სტალინის შეთოდები, რაც უახლოესი თანამებრძოლებისა და ახლობელ-მეგობრების ჩამოშორება- განადგურებით დამთავრდა. მოწინააღმდეგეებისათვის მიკრული იარლიყებიც ხომ სტალინური არსენალიდან იყო აღებული. ოდნავ სახეცვლილი: „იმპერიალიზმის აგენტები“ შეიცვალა „კრემლის აგენტებით“, „ხალხის მტრები“ იგივე დარჩა. დაემატა — „ქართველი ერის მოღალატეები“.

მერედა, ვინ იყვნენ „ერის მოღალატეები“ და „კრემლის აგენტები?“.

მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ყველას გვახსოვს ეროვნული მოძრაობის ბოლო წლები და ამ მოძრაობის ლიდერთა პოზიცია-ქმედებებს საკუთარი თვალით ვხედავდით, მაგრამ, სამწუხაროდ ყველაფერი უცებ დავივიწყეთ და ეროვნული მოძრაობის ერთადერთ წარმმართველ-ხელმძღვანელად მხოლოდ და მხოლოდ ზვიად გამსახურდია ვაღიარეთ. 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის პერიოდში ერთერთ შეკრებაზე გამომსვლელთა ერთმა ჯგუფმა აქციის შეწყვეტის მოთხოვნით ზ.გამსახურდიას მიმართა. ზ.გამსახურდია წამოდგა და სავსებით გასაგებად განაცხადა, რომ **აქცია მისი მოწყობილი არაა და მას არავითარი გავლენა მოშიმშილეებზე არა აქვს.** ეს დაადასტურა ერთერთმა მოშიმშილემ, რომელიც დარბაზში იჯდა. უფრო მეტიც, მან პირდაპირი პროტესტი განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ მიმართავდნენ არა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას, ვინც აქციას ატარებდა, არამედ იმ პიროვნებას, ვინც არაფერ შუაში არ იყო. აქციის გაგრძელების მოთხოვნით გამოვიდა მერაბ კოსტავა და სხვებიც. აქციის გაგრძელებას მხარი დავუჭირე მეც. გადაწყდა, გაგრძელებულიყო აქცია 29 ნოემბრამდე. ასეც მოხდა.

ყველას გვახსოვს, თუ ვინ ხელმძღვანელობდა 9 აპრილის აქციას, მისმა მთავრობამ. ვიყოთ [illegible] მოაზროვნენი, თვალი [illegible] იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტი გაქცეულია. ჰოდა, აქ მყოფმა პრეზიდენტმა ვერ დაამარცხა ის ძალა, ვინც მის წინააღმდეგ აღდგა— და გაქცეული დაამარცხებს?

ნუ გაიმეორებთ 1924 წლის ტრაგედიას. ოდესმე ხომ უნდა ვისწავლოთ წარსულის შეცდომებზე? მართალია, ახალი ხელისუფლება კანონიერად არჩეული არაა, მაგრამ იგი ხომ რეალურად არსებულია და ხალხის დიდი რაოდენობის მხარდაჭერით სარგებლობს. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ამავე ხელისუფლებამ ჩვენ ხომ შესანიშნავი გაკვეთილი მოგვცა: როცა მთავრობა არ ასრულებს თავის დანაპირებს, ხოლო სავარძლების დატოვებას არადა არ აპირებს, მის წინააღმდეგ იარაღს იყენებენ. ერთი სიტყვით, იარაღის ხელში აღება ყოველთვის შეიძლება და, იქნებ, არ იყოს საჭირო ვიჩქაროთ. ბოლოს და ბოლოს მთავარი ის ხომ არაა, ვის მივეცით ხმა? ხმა ხომ იმიტომ მივეცით, რომ დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოში გვეცხოვრა, გვეცხოვრა ცოტა უკეთ, ვიდრე კომუნისტების რეჟიმის დროს ვცხოვრობდით მატერიალურად თუ სულიერად. სამწუხაროდ, არჩევანმა არ გაგვიმართლა. რა უნდა გვექნა, გვეცხოვრა ისეთსავე ბრმა მორჩილებაში, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს ვცხოვრობდით, თუ გვეძებნა სხვა გზა? დღეს სწორედ ასეთი გზის ძებნის პერიოდში ვართ. ბევრი შესაძლებელი ვარიანტიდან ერთ-ერთს ვადგევართ. ვინმე რომ იყოს ისეთი, ვინც უეჭველად იცის, ეს გზა სწორი არაა, სიამოვნებით გავყვებოდი, მაგრამ ასეთი ხომ არავინაა. და რადგან ადამიანი იმედით ცოცხლობს, იქნებ სწორ გზას ვადგევართ? მე არა ვარ იმის მომხრე, მთელი წელი ვიყვიროთ: ვაცალოთ, ვაცალოთ! მაგრამ, თუ გამსახურდიას ერთი წელი ვაცალეთ, ახლებს იქნებ ნახევარი ძაინც ვაცალოთ. მერედა, ისიც არ უნდა დავინახოთ, რომ ჩვენი ნებით არჩეულმა არაფერი მოგვისმენა და დაგვიჯერა და თავისი ძალით მოსული გაიქცევა ჩვენი თითის დაჭნეევით?

რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა ყოფილ პრეზიდენტს თავისი დანაპირები შეესრულებინა, ან ის მაინც მოეხერხებინა, რომ თანამებრძოლები და მეგობრები არ აემხედრებინა, და რაც ყველაზე მთავარი და ტრაგედიის მიზეზი გახდა, საქმე იარაღამდე არ მისულიყო, ოღონდ ყველაფერი ეს ხომ უკვე მომხდარი ფაქტია. წარსულს ხომ ვერ დავიბრუნებთ და იქნებ მოვუხმოთ გონიერებას, რაც ჩვენს არც პროფესიას, არც სპეციალობას და ბოლოს, მოსაქმეობას არ შეესებამება — ნუ ვცდილობთ ყველა პოლიტიკოსობას და სხვისი ჭკუის დარიგებას.

რაც მოხდა, მოხდა, მას ვეღარ დავიბრუნებთ. და იქნებ სჯობდეს ჩვენ დავუბრუნდეთ იმას, რასაც შეიძლება დავუბრუნდეთ —ჩვენ-ჩვენს საქმეს: მუშა-ფაბრიკა-ქარხანას; გლეხი-მიწას (თანაც სამუდამოდ საკუთარს და მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით მიიებულს); დავუბრუნდეთ მეცნიერება ლაბორატორიებსა და საწერ მაგიდებს. სტუდენტები და მოსწავლეები-წიგნს. ვაკეთოთ ყველამ ის საქმე, საითკენაც გული გვიწევს და, რაც ყველაზე უკეთ ვიცით. მოვეხვეოთ ერთმანეთს და შევეჯიბროთ სიყვარულში — აკი თქვა ბრძენმა: „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო“.

გვფარავდეს ყველას ღმერთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვენა გნადს ან რომელითა?“

ვასილ მაღლაფერიძე

შეძლებს საქართველო ცივილიზებულ ერებს შორის საკუთარი ადგილის შენარჩუნებას, თუ ისევ სხვის ფრთას შეეფარება, როგორი იქნება საქართველო 10-20 წლის შემდეგ, მთლიანად დამოკიდებულია მათზე, ვინც ახლა სკოლის მერხს უზის ან ხვალ მიუჯდება. ასე რომ, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდა ჩვენი ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია და მას განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდება.

თითქოს არ შეიძლება იმის თქმა, რომ სკოლას ყურადღება არ ექცევა, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ საქმე სულ უკან მიდის, პრობლემა მწვავდება და მისი უგულებელყოფა სულ მალე ძვირად დაგვიჯდება (თუ უკვე არ გვიჯდება). სკოლას მეტ-ნაკლებლად ყველა იცნობს, მაგრამ საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეიძლება არ იცოდეს, თუ რა სავალალო მდგომარეობაშია იგი. ვითარებას ართულებს ისიც, რომ ამ სახის სკოლაში რამე სასიკეთო ძვრები არ არის მოსალოდნელი.

მოკლედ თუ ვიტყვით, სკოლას ევალება ბავშვის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა. სამწუხაროდ, იგი ამ ფუნქციას ვეღარ (ან თითქმის ვეღარ) ასრულებს. სკოლის ძველ მოდელს ჰქონდა ბევრი დადებითი და მრავალი უარყოფითი მხარე; მან აღზარდა თანამედროვე საზოგადოება თავისი ავ-კარგით. მაგრამ დღევანდელ პირობებში უძლური გახდა, რადგან იგი სოციალისტურ მოდელს ეფუძნებოდა, სოციალიზმი კი ისტორიის კუთვნილება ხდება. ერთი შეხედვით, ჩვენთან სწავლა სავალდებულო იყო და დღესაც სავალდებულოა, ეს ხერხდებოდა იძულებით (იძულებით გარკვეულწილად სწავლის ხარისხის ამაღლებაც კი ხდებოდა). სახელმწიფოში, სადაც ზოგი სასჯელს იხდიდა და ზოგი სასჯელს ელოდა, ეს არ იყო ძნელი მისაღწევი. სკოლაში მოქმედებდა იგივე იძულების მექანიზმი, რაც ქვეყანაში. ამ ვითარებაში იოლი იყო სკოლაში სავალდებულო სიარულით სავალდებულო სწავლების ილუზიის შექმნა. არადამაკმაყოფილებელი მიზნით გაცდენილი საათები დადგენილ პროცენტს არ უნდა ასცდენოდა: „პროცენტული ბეგარა“ დაკისრებული ჰქონდა აკადემიურ მოსწრებასაც, რომელიც, ცხადია, მეოთხედიდან მეოთხედამდე მაღლდებოდა. სკოლაც იხდიდა ვალს სახელმწიფოს წინაშე და პატიოსნად ასრულებდა გეგმას. განათლების სისტემაში მთავარ დაინტერესებულ სუბიექტად სახელმწიფო იქცა, მასწავლებელიც და მოსწავლეც მის წინაშე იყვნენ ვალდებულნი, რამაც, ისევე როგორც ყველა სხვა სფეროში, შვა ტყუილი. მასწავლებელი და მოსწავლე ატყუებდნენ სახელმწიფოს, სახელმწიფო ატყუებდა მასწავლებელს და მოსწავლეს. და სამივე მოტყუებული რჩებოდა. არცთუ უსაფუძვლოა ექვი, რომ საყოველთაო-სავალდებულო განათლების ამ სახით დამკანონებელი სახელმწიფო, დაინტერესებული იყო საყოველთაო გაუნათლებლობით. სკოლა იყო ადგილი, სადაც ბავშვს უნდა შთანერგვოდა სახელმწიფო იდეოლოგიისადმი მორჩილება და მიეღო მონამწარმოებლისთვის აუცილებელი ცოდნა. იყო კარგიც, რაც ძირითადად ცალკეულ მასწავლებელთა ენთუზიაზმით მიიღწეოდა, მაგრამ ტყუილი ახრჩობდა ყველაფერს და პირველ რიგში-კარგს. სავალდებულო სწავლება ფორმალიზმად იქცა, მასწავლებლის პრესტიჟი დაეცა. ფართო მასშტაბები მიიღო კორუფციამ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც ძველმა სახელმწიფოებრივმა სტრუქტურამ რღვევა დაიწყო, სკოლა საკუთარი თავის ამარა დარჩა მოსწავლის პირისპირ და აქ გამომჟღავნდა მისი უძლურება. ბავშვების დიდი ნაწილი აღარ დაემორჩილა სკოლას (და ეს პროცესი სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს), რაც ხან ეროვნულ მოძრაობას დაბრალდა, ხან-ბავშვურ ცნობისმოყვარეობას, ხან-საყოველთაო არეულობას, თუმცა აშკარაა, რომ სკოლა ვერაფრით იზიდავს ბავშვს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმის თვალსაჩინო ნიმუშია, თუ როგორი არ უნდა იყოს იგი. უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარების მსურველი ემზადება რეპეტიტორთან (უნდა ითქვას, რომ წლების მანძილზე სწორედ რეპეტიტორთა შრომას ეყრდნობა „დადაფერდებული“ განათლების სისტემა); რჩება მხოლოდ მასწავლებელი, ყოველდღიურ პრობლემებში ჩაფლული, სოციალურად და მატერიალურად დამცირებული, ყველაფერ ამით გალიზიანებული და, სამწუხაროდ, ხშირად დაბალი კვალიფიკაციის. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მასწავლებელი და მოსწავლე ერთმანეთში მოწინააღმდეგეს ხედავენ და არა თანამდგომს. განუწყვეტელი დაპირისპირება დაძღლელია და ისინიც გაურბიან ერთმანეთს. ამგვარ დღეშია დღეს სკოლა, რომელიც ინერციითღა აგრძელებს ცხოვრებას და თუ არა ატესტატების გაცემის უფლება, რომლის გარეშეც უმაღლეს სასწავლებლებში ჯერჯერობით საბუთებს არ იღებენ, ძალიან ბევრი სკოლის მაღალი კლასები დაიხურებოდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად პერიოდულად ტარდება კოსმეტიკური ხასიათის რეფორმები, რასაც, უმეტეს შემთხვევაში, ცუდი შედეგი მოაქვს, ვინაიდან ყველა რეფორმამ უნდა გაიაროს კორუფციის ბეწვის ხიდზე, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ხშირად წყდება (ადმინისტრირების გზით სკოლაში მდგომარეობის გამოსწორების მცდელობა აუცილებლად გამოიწვევს კორუფციის ზრდას).

სკოლის ახალი, კარგი მოდელის შექმნა თავისთავად ძნელი არ არის, სრთულე მის ამოქმედებაში მდგომარეობს, რადგან ყველა ის მანკიერება, რომელიც ჩვენს საზოგადოებას სჭირს, განათლების სისტემაშიც იჩენს თავს. ამ ეტაპზე ნაკლებად გამოგვადგება საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების მაგალითის პირდაპირ გადმოღება (თუმცა იქ ბევრი რამ არის ჩვენთვის საგულისხმო), რადგან ლი ამ მიზნით მხოლოდ შეგონებებს კი არ მიმართავს, არამედ საკმაოდ მკაფიო პერსპექტივას სთავაზობს ყრმას: ნასწავლი ადამიანი, ყველა სხვისგან განსხვავებით, მუდმივად უზრუნველყოფილია და ლუკმაპურისთვის „მუხლთ არვის მოეკენებისაო“.

თუ სკოლის გადარჩენა გვინდა, საჭიროა ზუსტად განისაზღვროს მისი ფუნქცია. უპირველესად მან უნდა მოიშოროს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ტვირთი და მთელი ყურადღება მიაპყროს ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელიც ნამდვილად ესწრაფვის განათლების მიღებას. სკოლის კომპეტენციას სცილდება ზრუნვა მათზე, ვისაც სწავლა არ სურს, შითუმეტეს, რომ ეს „ზრუნვა“ მოჩვენებითი ხასიათისაა და უშედეგო.

უმჯობესია, ცხრა კლასის დასრულების შემდეგ ახალგაზრდამ თვითონ გადაწყვიტოს, სურს თუ არა სწავლის გაგრძელება და ყველა იმ მოთხოვნის შესრულება, რასაც სკოლა წაუყენებს. ასეთ შემთხვევაში X, XI (ან იქნებ X, XI, XII, XIII) კლასებში დარჩებიან ის ახალგაზდები, რომელნიც საამისოდ მზად აღმოჩნდებიან. ეს გადაჭრის სკოლის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემას და ამავე დროს, გარკვეულ სტიმულად იქცევა I-IX კლასებში მოსწავლეთათვის, ვინაიდან მხოლოდ ამ წლების მანძილზე, დაროვილი ცოდნა გახდება სწავლის გაგრძელების საწინდარი. ამგვარი რეფორმა თითქოს დაიწყო, მაგრამ ვერ განხორციელდა, რასაც აქვს თავისი მიზეზი.

თავად ცხოვრება გვკარნახობს, რომ სკოლა აუცილებლად უნდა გახდეს კონკურენტუნარიანი (მან კონკურენცია უნდა გაუწიოს როგორც სხვა სკოლებს, ასევე რეპეტიტორობის სისტემას). მხოლოდ ამ ვითარებაში შეიძლება არსებობდეს ძლიერი და ჯანსაღი სკოლა (აქაც და ქვემოთაც ყველგან იგულისხმება ქალაქის სკოლა, როგორი უნდა იყოს სოფლის სკოლა, ცალკე მსჯელობის საგანია). რა დასამალია და ჩვენთან სწავლა-განათლება (კარგი!) უფასო აღარ არის, მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ემზადება, რაში გადახდილი თანხაც, შეიძლება, დიდად არ ჩამორჩებოდეს სკოლების ბიუჯეტს. გამოდის, რომ პარალელურად ორი განათლების სისტემა არსებობს: ლეგალური-უფასო და ნახევრადლეგალური-ფასიანი. ერთს სახელმწიფო მართავს, მეორეს — ცხოვრება. ფაქტობრივად განათლების სისტემაში უკვე კარგა ხანია დამკვიდრდა საბაზრო ურთიერთობა და ამაზე თვალის დახუჭვა არ იქნება. არსებობს აზრი, რომ სკოლებში ფასიან სწავლებაზე გადასვლა მძიმე ტვირთად დაეწვება მოსახლეობის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დღესდღეობით მხოლოდ ილუზია იქმნება, თითქოს სკოლა უფასოდ იძლევა ცოდნას. მაშინ როცა იგი ყოველწლიურად ათასობით მოსწავლეს გზავნის კერძო მასწავლებლებთან, რომლებიც მძიმე შრომის ფასად, ფორსირებულად ცდილობენ მდგომარეობის გამოსწორებას და ეს ჯდება გაცილებით ძვირი, ვიდრე ეს ფასიან სკოლაში დაჯდებოდა. სკოლაში ფასიანი სწავლების შემოღება მხოლოდ მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასუმჯობესებლად კი არ არის საჭირო, არამედ სწავლების დონის ასამაღლებლად. დღეს სკოლა არ არის დაინტერესებული სწავლების ხარისხით, მასწავლებლის ანაზღაურება მხოლოდ საათების რაოდენობაზე და მისთვის მინიჭებულ კატეგორიაზეა (რაც საკმაოდ ბევრ ხასიათს ატარებს) დამოკიდებული. რეპეტიტორი კი ვალდებულია სულ ფორმაში იყოს, რადგან თუ წელს კარგად ვერ ისწავლა და შედეგი ვერ მიიღო, გაისად მოწაფეები აღარ მოუვლენ.

მაღალი კლასების ფასიანად გადაკეთება, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ სკოლას დოტაცია აღარ დასჭირდება. განათლების სისტემა ყოველთვის დოტაციური იქნება, სხვაგვარად არსებობა მას არ შეუძლია. სწავლების საფასური მხოლოდ მასწავლებელთა ხელფასის დანამატი, ერთგვარი პრემია იქნება. სკოლა თავისთავად დაინტერესებული იქნება მოსწავლეების მიზიდვით, მაგრამ თუ მათ სათანადო პირობები არ დახვდათ, ცხადია, ისინი, ფულს ტყუილად არ გადაიხდიან და სხვა სკოლას ან რეპეტიტორს მიაკითხავენ. ასე რომ, მატერიალურ დაინტერესებას დამოკიდებული სკოლა მოსწავლეთა რაოდენობას ზომაზე მეტად ვერ გაზრდის ერთ კლასში. ასევე გადაიჭრება იმ სკოლის პრობლემაც, რომელსაც აღარ შერჩება მოსწავლე, რაც მატერიალურთან ერთად მორალური გაკოტრებაც იქნება. ამგვარი რეფორმა საპრეზიდენტოზე გამოიტანს ყველა ცუდს, რაც განათლების სისტემაში დაგროვდა. შეიძლება ზოგი სკოლა დაიხუროს, შეიძლება ზოგი მასწავლებელი უმუშევარი დარჩეს, მაგრამ მათ ადგილს დაიკავებენ უკეთესი სკოლები და მასწავლებლები. თუ ყველა სფეროში ვეგუებით უმუშევრობას, განათლების სფეროშიც უნდა შევეგუოთ, მითუმეტეს, სკოლის დატოვება მოუწევს მას, ვინც მხოლოდ ფორმალურად არის მასწავლებელი. ბოლოსდაბოლოს განათლების სისტემის უმთავრეს საზრუნავად უნდა იქცეს კარგი მოსწავლე და კარგი მასწავლებელი, ხოლო ცუდ მოსწავლეზე და ცუდ მასწავლებელზე ზრუნვა სოციალური დაცვის ინსტიტუტებს და შრომის ბირჟას უნდა მიენდოს.

ფასიან სწავლებაზე გადასვლა სკოლის რეალური დონის და კონკურენტუნარიანობის გამოსავლენად არის საჭირო, ამიტომ მაქსიმალურად უნდა გაუქმდეს ის ფორმალური უპირატესობანი, რომელიც სკოლას აქვს. ამჟამად მოსწავლეთა დიდი ნაწილი სკოლაში დადის ატესტატის სალაღად და რეპეტიტორთან-ცოდნის მისაღებად. ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე უნდა დამკვიდრდეს გამოცდების ექსტერნად ჩაბარების უფლება (რაც თავისთავად გადაჭრის საღამოს სკოლის პრობლემასაც, რომელიც თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. მათ ნაცვლად შეიძლება გაიხსნას გამოცდების ექსტერნად ჩაბარების მსურველთა დამხმარე კურსები, მაგრამ ყოველგვარი დიპლომებისა და ატესტატების გარეშე), მოქალაქეს ნებისმიერ ასაკში უნდა ჰქონდეს სკოლის სრული კურსის დამამთავრებელი გამოცდების ჩაბარების და შესაბამისი ატესტატის აღების საშუალება.

ამრიგად, ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლე (და მშობელი) არჩევანის წინაშე დადგება: 1. თუ აქვს სურვილი და შესაძლებლობა ჩაბაროს მე-10 კლასში მისაღები გამოცდები და განაგრძოს სწავლა. 2. მოემზადოს დამოუკიდებლად (ან რეპეტიტორთან) და ექსტერნად ჩაბაროს სრული სკოლის დამამთავრებელი გამოცდები 3. დაეუფლოს რომელიმე პროფესიას. ახალგაზრდამ თვითონ უნდა აირჩიოს ცხოვრების გზა და გასცეს პასუხი კითხვაზე: „ვენა გნადს ან რომელითა?“

ცხადია, მოსწავლე ტყუილად სკოლაში აღარ ივლის და ფულს არ გადაიხდის და ეს რომც მოინდომოს, საკუთარ თავს ჩაკეტ ჩამორჩენილი და საბჭოური სოციალიზმით დადაღულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოველგვარი პირობებია შექმნილი სწავლისთვის, მაგრამ არავის აძალებენ სწავლას. განათლება იქ წაგაგზავნ ნამცხვარს, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომად დევს მაგიდაზე და ვისაც რამდენი უნდა, იმდენს მოიჭრის; განათლების სისტემა, ისევე როგორც ყველა სხვა სფერო, იქ დამყარებულია ერთ მარტივ ჭეშმარიტებაზე; რაც უფრო კარგად სწავლობ (და მუშაობ), მ[illegible] უფრო კარგად ცხოვრობ! გარეგნულად დასავლური განათლ[illegible]ბის სისტემა თითქოს უფრო ნაკლებად არი[illegible] [illegible]ინტერესებული ბავშვის ბედით, მაგრამ ამგვარი დამოკიდებულების მიზანია, პიროვნება ყრმობიდანვე მიაჩვიოს დამოუკიდებლობას და საკუთარი თავის პატრონობას. ჩვენთან კი სავალდებულოდ არის გამოცხადებული სწავლა, მაგრამ მასზე მოთხოვნილება არ იყო და ჯერჯერობით არც არის. ესე იგი ჩვენ ვცდილობთ ბავშვს ძალით მივცეთ ის, რის საჭიროებასაც იგი ვერ ხედავს. რასაკვირველია, ამგვარი პრაგმატული მსჯელობის მოსმენა სასიამოვნო არ არის, მაგრამ როცა მთელი სისტემის აწყობაზეა საუბარი, მხოლოდ ენთუზიაზმის, მორალის და ცალკეულ პირთა კეთილგონიერების იმედად ყოფნა შედეგს არ მოგვტანს. ადამიანს უჭირს იმის კეთება, რასაც, მისთვის სარგებლობა არ მოაქვს. რა პერსპექტივას ვთავაზობთ დღეს ახალგაზრდას, როცა კარგად სწავლას ვთხოვთ? თითქმის ვერაფერს. ჩვენში ჯერჯერობით მხოლოდ მკრთალად იკვეთება კაპიტალიზმის კონტურები. უნდა ითქვას ისიც, რომ იძულებას სკოლის და მასწავლებლის მხრიდან პროფილაქტიკური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს (ცხადია, დიდი როლი ეკისრება მშობელს) ნამდვილად უნდა სწავლა. სწორედ პროფილაქტიკურ ღონისძიებას გულისხმობს დავით გურამიშვილი, როდესაც „ურმის წკეპლით ცემით კოვილზე“ საუბრობს, მთავარი ადგილი კი მის აღმზრდელობით სისტემაში მოსწავლის სწავლით დაინტერესებას უჭირავს. აღსანიშნავია, დავით გურამიშვილების საწინდარი. ამგვარი რეფორმა თითქოს დაიწყო, მაგრამ ვერ განხორციელდა, რასაც აქვს თავისი მიზეზი.

ლიფიკაციის. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მასწავლებელი და მოსწავლე ერთმანეთში მოწინააღმდეგეს ხედავენ და არა თანამდგომს. განუწყვეტელი დაპირისპირება დაძღლელია და ისინიც გაურბიან ერთმანეთს. ამგვარ დღეშია დღეს სკოლა, რომელიც ინერციითღა აგრძელებს ცხოვრებას და თუ არა ატესტატების გაცემის უფლება, რომლის გარეშეც უმაღლეს სასწავლებლებში ჯერჯერობით საბუთებს არ იღებენ, ძალიან ბევრი სკოლის მაღალი კლასები დაიხურებოდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად პერიოდულად ტარდება კოსმეტიკური ხასიათის რეფორმები, რასაც, უმეტეს შემთხვევაში, ცუდი შედეგი მოაქვს, ვინაიდან ყველა რეფორმამ უნდა გაიაროს კორუფციის ბეწვის ხიდზე, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ხშირად წყდება (ადმინისტრირების გზით სკოლაში მდგომარეობის გამოსწორების მცდელობა აუცილებლად გამოიწვევს კორუფციის ზრდას).

სკოლის ახალი, კარგი მოდელის შექმნა თავისთავად ძნელი არ არის, სრთულე მის ამოქმედებაში მდგომარეობს, რადგან ყველა ის მანკიერება, რომელიც ჩვენს საზოგადოებას სჭირს, განათლების სისტემაშიც იჩენს თავს. ამ ეტაპზე ნაკლებად გამოგვადგება საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების მაგალითის პირდაპირ გადმოღება (თუმცა იქ ბევრი რამ არის ჩვენთვის საგულისხმო), რადგან

ბოლოს ფასიანი სწავლა, რომელიც სისხლხორცეულად იქნება დაინტერესებული, რომ მისი პრესტიჟი და ავტორიტეტი არ დაეცეს, ამას არ დაუშვებს.

სწავლის საფასურის გადახდა გაუჭირდება განსაკუთრებით ხელმოკლე ოჯახს (რომელსაც არც ამჟამად მიუწვდება ხელი რეპეტიტორთან ბავშვის მომზადებაზე, რაც მას არათანაბარ პირობებში აყენებს) და სწორედ აქ უნდა თქვას თავისი სიტყვა ქველმოქმედებამ, რომლის მექანიზმის შემუშავებაც რთული არ გახლავთ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფასიანი სწავლება ხელმოკლე ოჯახებისათვის დიდი შეღავათი იქნება და არა ძმეზე ტვირთი. ამასთან გაცილებით ზნეობრივია გაჭირვებულ ადამიანს დაეხმარო[illegible]ინის მიღებაში, რასაც ფასი ადევს, ვიდრე უფასოდ აძლევდე თითქმის არაფერს.

ფასიან სწავლებას დიდი მნიშვნელობა ექნება მასწავლებლებისთვისაც. გაუმჯობესდება მათი მატერიალური მდგომარეობა, რომელიც ტრადიციულად სიღატაკის ზღვარს არ სცილდება. სკოლას დატოვებენ არაპროფესიონალები, სკოლაში მუშაობა გახდება შედარებით შრესტიჟული (რაც დაკავშირებულია მატერიალური უზრუნველყოფის დონესთან) და იგი შეივსება ღირსეული კადრებით. სკოლა გახდება სიცოცხლისუნარიანი, რასაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგან თუ ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება და აღორძინება გვწადია, აუცილებელია ძლიერი ეროვნული სკოლის შექმნა, რომელიც ქართულ ენაზე გაანათლებს უმაწვილს. თუ საქართველოს ცივილიზებულ ერთა შორის ცხოვრება სურს, უპირველესად ქართული სკოლა უნდადადგეს დასავლური სკოლების დონეზე.

მხოლოდ ძირეული გარდაქმნების შემდეგ შეიძლება საუბარი სკოლათა ტიპებზე, სწავლების ფორმებზე და რამდენ წლიანი უნდა იყოს სკოლის სრული კურსი, ვინაიდან ამოქმედებული იქნება ის მექანიზმი, რომელიც ყველა რიგიან ჩანაფიქრს ხორცს შეასხამს. დღესდღეობით კი სკოლა ჰგავს იმ ხელფეხშეკრულ მოცურავეს, რომელიც იძირება, მაყურებლები კი მას რეკორდის დამყარებას სთხოვენ.

დამფიქრებელია უმაღლესი სასწავლებლისა და სკოლის დღევანდელი ურთიერთობაც. უმაღლესი სასწავლებელი ჩვენთან საყოველთაო ლტოლვის საგანია, რამაც წესით ხელი უნდა შეუწყოს სკოლაში სწავლის დონის ამაღლებას. სა[illegible]ხარიდ, ჯერჯერობით პირიქით ხდ[illegible] [illegible]თქმის ყოველდღე იზრდება უმა[illegible] [illegible]ასწავლებლების რიცხვი. ჯან[illegible]ზოგადოებაში ეს საგანგაშო არ [illegible]და, რადგან თუ სასწავლებელ[illegible]ა სპეციალისტებს ვერ უშვებს, იგი [illegible]სთავად დაიხურება. ჩვენთან კი ასე[illegible]კეკ ამდენი უმაღლესი სასწავლებლ[illegible]ბ ხსნა სახლის მშენებლობის სახურავიდან დაწყებას ჰგავს, რადგან საქართველოში ასეთი დიდი მასშტაბით უმაღლესი განათლებისკენ სწრაფვას, სათანადო საფუძველი არ გააჩნია. ალბათ აჯობებდა, რომ ჯერ სკოლა გაძლიერებულიყო სათანადოდ და შემდეგ გახსნილიყო ამდენი უმაღლესი, რომლისკენაც ფაქტობრივად ყველა დაბრკოლება მოხსნილია. საკმარისია, ახალგაზრდამ ატესტატი აიღოს, ფული გადაიხადოს და სტუდენტი გახდეს, ხუთი წლის შემდეგ კი სპეციალისტის დიპლომით მოევლინება ქვეყანას. ამ კამპანიას მხოლოდ ერთი დადებითი მხარე შეიძლება ჰქონდეს: რამოდენიმე წელიწადში მნიშვნელოვნად შენელდება ლტოლვა უმაღლესი სასწავლებლისკენ, რადგან ქვეყანაში მომრავლდებიან დაბალი კვალიფიკაციის დიპლომიანი სპეციალისტები, რომელნიც არავისთვის იქნებიან საჭირონი. გაჩნდება კონკურენცია მომრავლებულ ინსტიტუტებსა თუ უნივერსიტეტებს შორის და მათგან მხოლოდ საუკეთესონი გააგრძელებენ სიცოცხლეს. მაგრამ ეს მოხდება წლების შემდეგ. მანამდე კი ყოველნაირად უნდა ვეცადოთ სიცოცხლისუნარიანი გავხადოთ საშუალო სკოლა, რასაც ეფუძნება უმაღლესი სასწავლებელი. რეფორმის ჩატარება (სავალდებულო სწავლების IX კლასში დამთავრება, გამოცდების ექსტერნად ჩაბარების დამკვიდრება და მაღალ კლასებში ფასიანი სწავლების შემოღება), მართალია, სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მაინც სავსებით შესაძლებელია სექტემბრიდან მისი დაწყება. არ არის აუცილებელი (და არც სასურველი), რომ ეს მოხდეს ერთი ხელის დაკვრით ყველა სკოლაში. რეფორმა უნდა განხორციელდეს თანდათან და როცა ერთდროულად ორივე მოდელის სკოლა არსებობს, ცხოვრება თვითონ გამოარჩევს უკეთესს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

მცირე საწარმო „განათლება-XX“ აცხადებს მიღებას ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შემსწავლელ კურსებზე. სწავლების ხანგრძლივობა 40 დღეა. კურსდამთავრებულები მიიღებენ სათანადო მოწმობას, უხრუნველყოფილნი იქნებიან უფასო კონსულტაციებითა და პრაქტიკული დახმარებებით ერთი წლის განმავლობაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:
ტელ. 38-08-14, 95-61-93.

ბატონო ბიზნესმენებო!

მს „განათლება-XX“ გთავაზობთ ელექტრონიკაციის კომპიუტერულ სისტემაში ჩართვას, რაც საშუალებას მოგცემთ მიიღოთ ოპერატიული ინფორმაცია თანამეგობრობის ქვეყნების 60-ზე მეტი ბირჟიდან და დაამყარონ მაღალი საქმიანი ურთიერთობები საკუთარი ოფისიდან გაუსვლელად.

გთავაზობთ სათანადო პროგრამულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

ტელ. 38-08-14, 95-61-93.

გმაძლევათ შესაძლებლობა დააფუძნოთ თქვენი ბანკი!

ქ.თბილისში იქმნება საქართველოში ყველაზე მსხვილი სააქციო კომერციული ბანკი

კერძობანკი

ბანკის დამფუძნებელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე ან არასახელმწიფო სექტორის ნებისმიერი საწარმო თუ შეიძენს ერთ აქციას მაინც, რომლის ნომინალური ღირებულება 50 ათასი მანეთია. შეძენილი ერთი აქცია დამფუძნებელს აძლევს ერთი ხმის უფლებას.

კერძობანკი: აიძულებს თქვენს მიერ ბანკის დასაფუძნებლად ჩადებულ უკიდურესობამდე გაუფასურებულ საბჭოთა მანეთს „იცოცხლოს“, უფრო მეტიც „იმუშაოს“ მაქსიმალური უკუგებით.

კერძობანკი იქნება: თქვენი და თქვენი ოჯახის, თქვენი შთამომავლობის ბანკი; თქვენი კომერციული საქმიანობის ღირსეული პარტნიორი; თქვენი საქმიანობის გარანტირებული მესაიდუმლე.

კერძობანკში, წინასწარ გაანგარიშებით ბანკის სპეციფიური სტატუსიდან და საქმიანობის პირობებიდან გამომდინარე, დამფუძნებლების დივიდენდის ოდენობამ შეიძლება მიაღწიოს 52 პროცენტს.

გირჩევთ იჩქაროთ, რადგან ბანკის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია.

გელოდებით ყოველ სამუშაო დღეს 11-ᲓᲐᲜ 15 **საათამდე**
მისამართზე: 380086, ქ.თბილისი, ხანდოო ეულის ქ. № 1.
(ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოს).

საკონტაქტო ტელეფონი: **31-17-85, 93-49-66**

ყოველ ხუთშაბათს, 15 საათზე შესაძლებლობა გექნებათ შეხვდეთ საინიციატივო ჯგუფს სრული შემადგენლობით.

საინიციატივო ჯგუფი

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის გამგეობის

განცხადება

ა.წ. 28 მარტს, 12 საათზე, გაიმართება სეფ-რკ-ს IV კონფერენცია. (ვაჟა-ფშაველას 45, — მეტრო დელისი — სოფლმშენის სააქტო დარბაზი, რეგისტრაცია იწარმოებს 11 საათიდან VII [illegible]ოულზე) გამგეობამ კონფერენციის მ[illegible]ბის დასასრულამდე შეაჩერა მთავარი [illegible]ომიტეტის ბოლო 4 სხდომის გადაწ[illegible]ვეტილებანი და აღადგინა ორგანიზაციის ყველა წარმომადგენლის და მათ შორის საგარეჯოს რეგიონალური კომიტეტის უფლებამოსილებანი... დაადგინა — თვითეული რეგიონიდან 2 გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე წარმომადგენლის (ბეჭდიანი ოქმით დამოწმებული) დელეგირების წესი... იმ შემთხვევაში თუ რომელიმე რეგიონული კომიტეტი არ მოავლენს წარმომადგენლებს კონფერენციაზე, განიხილება მისი უფლებამოსილების შეჩერების საკითხი.

მადლობა გულისხმიერებისათვის

ღიღეს, როცა ადამიანებს ასე გაგვინელდა ერთმანეთისთვის გულისტკივილი, დაგვავიწყდა ერთმანეთის სატკივარის გამოზრუნვა, უნებური ცრემლი აწვება თვალებს, როცა მცირედი ნთელიც კი გაიბრწყინებს ჩვენს ყოველდღიურობაში. ნათელი საქმე სიბნელეს ანათებს, წყვდიადს ათენებს, მომავლის იმედს აღვივებს.

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო მე-3 საავადმყოფოს ექიმ-ტოქსიკოლოგს თემურ კოტბიძეს, რომელმაც არაფერი დაიშურა ჩემი გამოჯანმრთელებისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო იმისთვის, რომ მისი ზრუნვა ადამიანებს ჯანმრთელობასთან ერთად სულიერ მხნეობასა და მომავლის რწმენას ჰმატებს.

პატივისცემით
ჟანა გაგიშვილი

WORLD LABORATORY

მსოფლიო ლაბორატორიის
სამეცნიერო—საგანმანათლებლო ცენტრი
საქართველოში
გთავაზობთ:

სამაგიდო ტიპოგრაფიის კომპიუტერული სისტემის საშუალებით წიგნებისა და ჟურნალ—გაზეთების, სავიზიტო ბარათების, ბლანკების და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის ორიგინალ-მაკეტების მომზადებას,

აგრეთვე

სხვადასხვა კომპიუტერული ავტომატიზირებული სისტემების შექმნასა და ექსპლუატაციას.

საკონტაქტო ტელეფონები: 29-48-61, 29-48-60.

ჩვენს ხელმოწერთა საყურადღებოდ!

როგორც კავშირგაბმულობის სამინისტროდან შეგვატყობინეს, გაზეთ „საქართველოზე“ ხელმოწერა ახალი ფასებით გაგრძელდება ა.წ. 15 აპრილამდე.

ხელმომწერები გაზეთს მიიღებენ ა.წ. 1 მაისიდან.

იჩქარეთ, გამოიწერეთ
გაზეთი
„საქართველო“

ინდექსი 66447

ფასი 2 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი